ევროკავშირი
საქართველოსთვის

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გზამკვლევი

საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის წარსადგენი ალტერნატიული ანგარიშების მომზადება

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გზამკვლევი: საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის წარსადგენი ალტერნატიული ანგარიშების მომზადება

თბილისი
2024

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

გამოცემის ხელმძღვანელი: თამარ ონიანი

ავტორი: თამარ ალექსიძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

მადლობას ვუხდით თამაზ კირტავას, საიას ადამიანის უფლებების პროგრამის ანალიტიკოსს, დოკუმენტზე მუშაობაში შეტანილი წვლილისთვის.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

აბრევიატურათა ნუსხა 5

შესავალი 7

გზამკვლევის სტრუქტურა 7

ნაწილი 1. ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო სახელშეკრულებო მექანიზმების მიმოხილვა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი 9

I. საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სამოქალაქო ჯგუფების ჩართულობა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების სათანადო შესრულებაზე ზედამხედველობის პროცესში 9

II. სახელმწიფოს პერიოდული ანგარიშის ალტერნატიული, ჩრდილოვანი ანგარიშების დანიშნულება და მნიშვნელობა 11

III. ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო სახელშეკრულებო მექანიზმების როლი ადამიანის უფლებების დაცვაში 12

სქემა N1. კომიტეტში სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის პროცესი (ეტაპები) 14

კომიტეტებისადმი ინდივიდუალური მიმართვიანობა 16

სქემა N2. გაეროში მოქმედი ადამიანის უფლებათა ზედამხედველობის სისტემა/მექანიზმები 17

IV. საქართველოსთვის რელევანტური ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ძირითადი საერთაშორისო სახელშეკრულებო და საზედამხედველო მექანიზმების მიმოხილვა 18

გაეროს სახელშეკრულებო მექანიზმები 18

i. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი - CERD 18

ii. ადამიანის უფლებათა კომიტეტი - CCPR 18

iii. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი - CESCR 19

iv. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი - CEDAW 19

v. კომიტეტი წამების წინააღმდეგ - CAT 20

vi. ბავშვის უფლებათა კომიტეტი - CRC 20

vii. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი - CRPD 20

ცხრილი N1. გაეროს სახელშეკრულებო ორგანოები: საკონტაქტო ინფორმაცია 21

ცხრილი N2. გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების მიმართ ანგარიშების წარდგენის პერიოდულობა / მონიტორინგის ციკლი 22

ცხრილი N3. კომიტეტთან მოქმედი მექანიზმები/ ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენა 23

ცხრილი N4. კომიტეტებთან მოქმედი ინდივიდუალური საჩივრების/კომუნიკაციის პროცედურები და საქართველოს სტატუსი 25

სქემა N3. ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმის აღწერა CEDAW კომიტეტის მაგალითზე 26

გაეროს ქარტიაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებათა მონიტორინგი: ადამიანის უფლებათა საბჭო (HRC) და მისი საზედამხედველო მექანიზმები 27

i. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR) 27

ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის ევროპული (რეგიონული) სისტემა 28

i. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ - ECRI 30

ii. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR) და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი (CM) 31

iii. ლანსაროტის კომიტეტი - Lanzarote Committee 33

iv. ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი - GRETA 33

v. სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ - GRECO 34

vi. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი - CPT 35

vii. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი 35

viii. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი - GREVIO 36

ix. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის „ჩარჩო კონვენციის" მრჩეველთა კომიტეტი - FCNM Advisory Committee 37

სქემა N4. როგორ ხდება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის „ჩარჩო კონვენციის" (FCNM) მონიტორინგი 38

ცხრილი N5. ევროპის საბჭოს სახელშეკრულებო ორგანოები და საქართველო 39

ნაწილი 2. ჩრდილოვანი ანგარიშის დოკუმენტის სტრუქტურირება - ორგანიზების მეთოდები 41

V. ჩრდილოვანი ანგარიშის შედგენა: მოსამზადებელი ფაზა 41

i. ჩრდილოვანი ანგარიშის აგება: სტრუქტურა და ორგანიზაცია 43

ცხრილი N6. ჩრდილოვანი ანგარიშის სახელმძღვანელო სტრუქტურა 44

ii. ალტერნატიული მოხსენების აკადემიურ წერასთან დაკავშირებული საკითხები 45

iii. ჩრდილოვანი ანგარიშის სამიზნე აუდიტორია 46

რჩევები და წინადადებები ეფექტიანი ანგარიშის მართლწერის და სანდოობისთვის 46

iv. ალტერნატიული მოხსენების გუნდის სტრუქტურები, ფორმირება, მოდელები და სტრატეგიები 48

როგორ შევქმნათ ეფექტიანი სამუშაო ჯგუფი ჩრდილოვანი ანგარიშის შესადგენად: რჩევები და წინადადებები 50

გზამკვლევი: 12 ნაბიჯი ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადებისა და ადვოკატირებისთვის 52

საკონტროლო სია 55

ცხრილი N7. გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებთან ანგარიშვალდებულება: ვადები 57

ცხრილი N8. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სახელშეკრულებო ორგანოების საქმიანობაში 58

ცხრილი N9. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სახელშეკრულებო ორგანოების საქმიანობაში - 2 60

ბიბლიოგრაფია 61

აბრევიატურათა ნუსხა

CAT	**წამების საწინააღმდეგო კომიტეტი**
CCPR	**ადამიანის უფლებათა კომიტეტი**
CED	**იძულებითი გაუჩინარების კომიტეტი**
CEDAW	**ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი**
CEDAW-OP	**ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი**
CERD	**რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი**
CESCR	**ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი**
CMW	**მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის კომიტეტი**
CoE	**ევროპის საბჭო**
CPT	**წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი**
CRC	**ბავშვის უფლებათა კომიტეტი**
CRC-OP-AC	**ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ**
CRC-OP-IC	**ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ**
CRC-OP-SC	**ბავშვთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვების გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ**
CRPD	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი**
CRPD-OP	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი**
CSOs	**სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო) / საზოგადოებრივი ორგანიზაციები**
ECRI	**ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ**
ECSR	**სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი**
ECtHR	**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**

GRECO	**კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი**
GRETA	**ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი**
GREVIO	**ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი**
HRC	**ადამიანის უფლებათა საბჭო**
ICCPR	**საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ**
ICCPR-OP1	**სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი**
ICCPR-OP2	**სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატიური ოქმი**
ICERD	**საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ**
ICESCR	**საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ**
ICESCR-OP	**ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი**
NHRIs	**ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები**
OHCHR	**გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი**
OPCAT	**წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი**
UNICEF	**გაეროს ბავშვთა ფონდი**
UPR	**უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა**

შესავალი

თანამედროვე სამყაროში ადამიანის უფლებათა დაცვა წარმოუდგენელია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეფექტიანი თანამშრომლობის გარეშე. განვითარების კვალდაკვალ, სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით, საქართველომ ვალდებულება აიღო, ადამიანის უფლებები ქვეყნის შიგნითაც მსოფლიოში აღიარებული სტანდარტის შესაბამისად დაეცვა. ამ ვალდებულებათა ჯეროვან შესრულებას ეროვნულ დონეზე სხვადასხვა სახელისუფლებო ინსტიტუტი ზედამხედველობს *(მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლო, პარლამენტი)*, საერთაშორისო დონეზე კი ამ საკითხს საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებული ორგანოები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანიზაციები უწევენ მონიტორინგს.

ამგვარად, პროფილური, ადამიანის უფლებათა დამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოს „პერიოდული, (შესრულების) ანგარიშების“ ალტერნატიული - „ჩრდილოვანი (საზოგადოებრივი) ანგარიშების“ წარდგენა შესაბამისი საერთაშორისო ორგანოებისთვის *(კომიტეტებისთვის).* ამ გზით, ისინი საკუთარ პოზიციას უზიარებენ საერთაშორისო თანამეგობრობას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხების უფრო ჯეროვანი ადვოკატირების მიზნით.

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია, მკითხველს გააცნოს **საქართველოსთვის რელევანტური ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ძირითადი საერთაშორისო სახელშეკრულებო და საზედამხედველო მექანიზმები, აგრეთვე, მათთან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტიანი თანამშრომლობის გზები.**

გზამკვლევი საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაინტერესებულ წარმომადგენლებს ალტერნატიული/ჩრდილოვანი ანგარიშების შემუშავებაში დაეხმარება, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის გაუმჯობესებას, ეფექტიან ზედამხედველობასა და ადვოკატირებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

გზამკვლევის სტრუქტურა

გზამკვლევი 5 თავს მოიცავს, რომლებიც ორ თემატურ ბლოკშია გაერთიანებული. **პირველი ნაწილი** ეთმობა ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო სახელშეკრულებო მექანიზმების მიმოხილვას, ასევე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. გზამკვლევის **მეორე ნაწილში** დეტალურადაა განხილული ჩრდილოვანი ანგარიშების არსი, აგრეთვე, მოცემულია დოკუმენტის დაგეგმვა-შედგენა-წარდგენის ზედმიწევნითი ინსტრუქცია.

I თავში - განმარტებულია საზოგადოებრივი აქტორებისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების არსი, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სახელშეკრულებო ორგანოებთან თანამშრომლობის გზები და მნიშვნელობა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების სათანადოდ შესრულებაზე ზედამხედველობის კონტექსტში.

II თავში - განხილულია სახელშეკრულებო ორგანოებში წარდგენილი სახელმწიფო (სამთავრობო) ანგარიშების ალტერნატიული, ე.წ. ჩრდილოვანი ანგარიშების დანიშნულება ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ქვეყანაში ობიექტურად არსებული ვითარების წარმოსაჩენად.

III თავში - გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელშეკრულებო ორგანოების (კომიტეტების) სისტემა, სახელმწიფოთა ანგარიშვალდებულებებზე მათი საზედამხედველო უფლებამოსილება, კომიტეტებისადმი ინდივიდუალური მიმართვიანობის მექანიზმი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მნიშვნელობა სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების სრულფასოვანი მონიტორინგისთვის.

IV თავში - განმარტებულია საქართველოსთვის რელევანტური ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ძირითადი საერთაშორისო სახელშეკრულებო და საზედამხედველო მექანიზმები, მათ შორის, გაეროს სახელშეკრულებო მექანიზმები, გაეროს ქარტიაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებათა მონიტორინგი და ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის ევროპული (რეგიონული) სისტემა.

V თავში - მოცემულია ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადების ინსტრუქცია, რჩევა-წინადადებები შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ფორმირების, კონკრეტული თემის შერჩევის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების გაწერის შესახებ, ასევე, აღწერილია ჩრდილოვანი ანგარიშის დოკუმენტის სტრუქტურირება-ორგანიზების მეთოდები, აკადემიური წერის სტანდარტები, გამოკვეთილია ჩრდილოვანი ანგარიშის შესაბამისი ხელშეკრულებისა და სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირების საჭიროება, წარმოდგენილია გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებთან ჩრდილოვანი დოკუმენტების წარდგენის ვადები, ასევე, ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სახელშეკრულებო ორგანოების საქმიანობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის მექანიზმები.

ნაწილი 1

ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო სახელშეკრულებო მექანიზმების მიმოხილვა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი

I. საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სამოქალაქო ჯგუფების ჩართულობა სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების სათანადო შესრულებაზე ზედამხედველობის პროცესში

სამოქალაქო საზოგადოების ცნება აერთიანებს ორგანიზაციებსა და ინდივიდებს, რომლებიც ნებაყოფლობით ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში საერთო ღირებულებების, მიზნებისა და ინტერესების განსახორციელებლად. სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (CSOs/სსო), რომლებიც ორიენტირებულნი არიან ადამიანის საყოველთაო უფლებების ხელშეწყობასა და დაცვაზე, მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაფუძნებული მონიტორინგის და ზედამხედველობის ორგანოებისთვის (სახელშეკრულებო ორგანოები/კომიტეტები) სანდო, ***ალტერნატიული ინფორმაციის*** მიწოდებაში. ისინი ფლობენ ღირებულ მონაცემებს სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის, ხელისუფლების მიერ მიღწეული პროგრესისა და ქვეყანაში მიმდინარე გამოწვევების შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე აკვირდებიან სახელშეკრულებო ორგანოების რეკომენდაციების შესრულებას ეროვნულ დონეზე, მეთვალყურეობენ მათ ასახვას პრაქტიკაში.

სამოქალაქო საზოგადოებრივი აქტორები, რომლებიც სახელშეკრულებო ორგანოებთან თანამშრომლობენ, აერთიანებენ ***ადამიანის უფლებათა დამცველებს, ორგანიზაციებს*** (არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები, დაზარალებულთა ჯგუფები), თემატურ თუ სუბიექტზე ორიენტირებულ ***კოალიციებს*** და ***ქსელებს*** (მაგალითად, ქალთა, ბავშვთა ან გარემოსდაცვითი უფლებებისთვის), ***თემზე დაფუძნებულ ჯგუფებს*** (მკვიდრი (indigenious) მოსახლეობა, უმცირესობათა ჯგუფები), ***გაერთიანებებს*** (პროფკავშირებისა და პროფესიული ასოციაციების ჩათვლით, მაგალითად, ჟურნალისტთა, ადვოკატთა ასოციაციები, სტუდენტური გაერთიანებები), ასევე, ***საზოგადოებრივ მოძრაობებს*** (მაგალითად, სამშვიდობო, სტუდენტური, პროდემოკრატიული მოძრაობები) და ***აკადემიურ წრეებს*** (სასწავლო/კვლევითი დაწესებულებები, პროფესორ-მასწავლებლები).

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მსგავსად, **ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები** (მაგალითად, სახალხო დამცველი) საკუთარი მოხსენებებით ხელს უწყობენ მონაწილე სახელმწიფოების მიერ კომიტეტებში წარდგენილი ანგარიშების განხილვას. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები (NHRI) ადამიანის უფლებების დასაცავად

სახელმწიფოების მიერ ეროვნულ დონეზე შექმნილი ინსტიტუციებია. ისინი მოქმედებენ საკუთარი მთავრობებისგან დამოუკიდებლად, წინასწარ განსაზღვრული მანდატის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მათ მიუკერძოებლობას. ეს ინსტიტუტები ხელმძღვანელობენ საერთაშორისო სტანდარტებით, რომლებიც ცნობილია „პარიზის პრინციპების" სახელით.[1] მათი წარდგინებები კომიტეტში ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა მონაწილე სახელმწიფოში. NHRI-ები ხელს უწყობენ დისკუსიებს, მონაწილეობენ რეკომენდაციების მიღებაში და აწარმოებენ კონსტრუქციულ დიალოგს სახელმწიფოსთან. უფრო მეტიც, ეს ინსტიტუტები ზედამხედველობენ სახელშეკრულებო ორგანოების რეკომენდაციათა ჯეროვან შესრულებას ეროვნულ დონეზე.[2]

სახელშეკრულებო ორგანოებთან თანამშრომლობა ეფექტიანი გზაა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომ მონაწილეობა მიიღონ ადამიანის უფლებათა განხორციელებასა და კონკრეტული უფლებების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სახელშეკრულებო ორგანოებთან თანამშრომლობა შეუძლიათ რამდენიმე გზით:

- პოპულარიზაცია გაუწიონ ხელშეკრულების რატიფიცირებას;
- განახორციელონ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;
- **წარადგინონ წერილობითი ინფორმაცია და მასალები, მათ შორის, სახელმწიფო ანგარიშების ალტერნატიული, ჩრდილოვანი ანგარიშები**;
- დამკვირვებლის სტატუსით, შესაბამისი პროცედურის დაცვით, მონაწილეობა მიიღონ სახელშეკრულებო ორგანოთა სხდომებსა და ზეპირ განხილვებში, გააკეთონ განცხადებები;[3]
- თვალი მიადევნონ სახელშეკრულებო ორგანოთა დასკვნითი მოსაზრებების/დაკვირვებების შესრულებას;
- წარადგინონ ინდივიდუალური საჩივრები შესაბამის სახელშეკრულებო ორგანოებში;
- მიაწოდონ ინფორმაცია კომიტეტს კონფიდენციალური გამოძიების ჩატარების ხელშესაწყობად;[4]
- წარადგინონ ინფორმაცია წინასწარი შეტყობინებისა და გადაუდებელი პროცედურების შესახებ;[5]
- გაგზავნონ განაცხადები სახელშეკრულებო ორგანოების თავმჯდომარეთა ყოველწლიური შეხვედრებისთვის.

---

[1] Principles relating to the Status of National Institutions (The Paris Principles), https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/principles-relating-status-national-institutions-paris [05.09.2024].

[2] ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და მათი გაერთიანებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. https://ennhri.org/about-nhris/ [05.09.2024].

[3] მაგ. ადამიანის უფლებათა საბჭოში მხოლოდ საკონსულტაციო სტატუსის მქონე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ წერილობითი განცხადებების გავრცელება დღის წესრიგში შეტანილ საკითხზე.

[4] მაგ. კომიტეტში წამების წინააღმდეგ და კომიტეტში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის წინააღმდეგ.

[5] მაგ. კომიტეტში რასობრივი დისკრიმინაციის საკითხებზე.

II. სახელმწიფოს პერიოდული ანგარიშის ალტერნატიული, ჩრდილოვანი ანგარიშების დანიშნულება და მნიშვნელობა

სახელშეკრულებო ორგანოებში წარდგენილ სახელმწიფო (სამთავრობო) ანგარიშებში ხშირად ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესრულების მხრივ სახელმწიფოს მიერ მიღწეული პროგრესი. ამასთანავე, ეს ანგარიშები გამოირჩევა ნაკლები კრიტიკით და დარღვევების რიცხვის მინიმიზაციის ტენდენციით.

განსხვავებულია სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წარდგენილი ალტერნატიული, ე.წ. ჩრდილოვანი ანგარიშების ბუნება. მათი მიზანია, სახელშეკრულებო ორგანოებს/კომიტეტებს მიაწოდონ არსებითი ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისას გამოკვეთილი ***პრობლემებისა*** და ჯერ კიდევ ***მიუღწეველი პროგრესის*** შესახებ.

გაეროს კომიტეტისთვის ჩრდილოვანი მოხსენების წარდგენით, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ, ხაზი გაუსვან იმ საკითხებს, რომლებიც არ არის წამოჭრილი მათი მთავრობების მხრიდან, ან მიუთითონ, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, სად შეიძლება მთავრობას შეცდომაში შეჰყავდეს კომიტეტი (მაგალითად, არასრულყოფილ ინფორმაციას აწვდიდეს არსებული ვითარების შესახებ).

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ ჩრდილოვან მოხსენებებს მნიშვნელოვნად აღიქვამენ კომიტეტები, რომლებიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელნი არიან, პოლიტიკური ზეწოლა მოახდინონ მთავრობაზე, რათა მათ სათანადო სტანდარტით აღასრულონ ხელშეკრულებები. **განსაკუთრებით წონადი არგუმენტები და კრიტიკა პერიოდულად კომიტეტების საბოლოო რეკომენდაციებში აისახება.** საპასუხოდ, ამ პროცესის შედეგად, ხშირ შემთხვევაში, მთავრობები ცვლიან კანონებს, პოლიტიკას და პრაქტიკას. **შესაბამისად, ჩრდილოვანი ანგარიშები შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო დონეზე ადვოკატირების მძლავრ ინსტრუმენტად, ისევე, როგორც ეროვნულ დონეზე ხელშესახები პროგრესის კატალიზატორად.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო ორგანოებისთვის ხარისხიანი ალტერნატიული ანგარიშის წარდგენა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ანგარიშგების პროცესმა უნდა წაახალისოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კრიტიკული თვალით შეხედონ ადამიანის უფლებების მდგომარეობას სახელმწიფოში, ადეკვატურად შეაფასონ მოვლენები სახელმწიფოს მიერ გაცხადებულ პრიორიტეტებთან მიმართებით *(აღნიშნონ რეალური პროგრესი, ისევე, როგორც არსებული გამოწვევები),* განიხილონ თავიანთი საქმიანობა უფრო ფართო ეროვნულ კონტექსტში და, ამ მიზნით, ითანამშრომლონ ერთმანეთთან (თვითორგანიზდნენ თემატურ კოალიციებად), გააანალიზონ პრობლემური საკითხები სხვადასხვა დაინტერესებულ ჩართულ მხარესთან ერთად (stakeholders),[6] აწარმოონ ხელისუფლებასთან დიალოგი *(როდესაც ამის რეალური შესაძლებლობა არსებობს)* და

[6] კომიტეტი იყენებს ტერმინს 'stakeholder', რომელიც აერთიანებს არასამთავრობო ორგანიზაციებს (NGO), კოალიციებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს (NHRI), ომბუდსმენს, გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) და გაეროს სააგენტოებს, აგრეთვე, დამოუკიდებელ ექსპერტებს.

განახორციელონ ადვოკატირება სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სწორედ ამიტომ, კომიტეტებთან ანგარიშგებისას, ***არასამთავრობო ორგანიზაციების წერილობითი წარდგინებები (ანგარიშები) უნდა ეყრდნობოდეს ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის, პოლიტიკის და პრაქტიკის სისტემატურ და სიღრმისეულ ანალიზს შესაბამისი პრიორიტეტების გათვალისწინებით. ამასთანავე, უნდა შეფასდეს, რამდენად შეესაბამება სახელმწიფოს მიერ მიღწეული პროგრესი ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებით აღებული მოვალეობების <u>კეთილსინდისიერად</u> შესრულების ვალდებულებას.***

III. ადამიანის უფლებათა მონიტორინგის საერთაშორისო სახელშეკრულებო მექანიზმების როლი ადამიანის უფლებების დაცვაში

უნივერსალურ დონეზე ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ძირითადი საერთაშორისო სახელშეკრულებო მექანიზმები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ქოლგის ქვეშ ერთიანდება გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების - კომიტეტების - სახით. **რეგიონულ დონეზე** საქართველოსთვის აქტუალურია ევროპის რეგიონში მოქმედი, ევროპის საბჭოს სისტემაში შემავალი ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ორგანოები და საზედამხედველო კომიტეტები, რომლებიც ავსებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ევროპული სასამართლოს პრაქტიკით ჩამოყალიბებულ სისტემას და კრავს ერთიან ღირებულებით წრეს ინდივიდის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გარშემო.

ყველა ზემოაღნიშნული საზედამხედველო და სახელშეკრულებო ორგანო პასუხისმგებელია სახელმწიფოების მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და მათი ფაკულტატიური (დამატებითი) ოქმების ხარისხიანი შესრულების მონიტორინგზე.

ადამიანის უფლებათა დაცვის საზედამხედველო სახელშეკრულებო ორგანოები - კომიტეტები - დაკომპლექტებულია ექსპერტებით, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, ასევე, იმ თემატურ სფეროებში, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებათა შესრულების ზედამხედველობას კონკრეტული საერთაშორისო ინსტრუმენტის (საერთაშორისო ხელშეკრულების) ფარგლებში. კომიტეტები შედგება 10-იდან 23-მდე დამოუკიდებელი ექსპერტისგან, რომლებსაც აქვთ აღიარებული კომპეტენცია ადამიანის უფლებებში. ისინი აირჩევიან სახელმწიფოების მიერ, ფიქსირებული, განახლებადი ოთხწლიანი ვადით. ერთი და იმავე პირმა ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლება შეასრულოს კომიტეტის წევრის მოვალეობები. საქმიანობისას ექსპერტები მოქმედებენ პირადად, მხოლოდ პროფესიული მანდატით. მათ მიმართ არსებობს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის, აგრეთვე, მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის მოლოდინი.

როდესაც ქვეყანა ახდენს ხელშეკრულების რატიფიცირებას, ის იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება პირნათლად და

კეთილსინდისიერად (საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი - ***„pacta sunt servanda“***). ეს გულისხმობს არა მხოლოდ ხელშეკრულების დებულებების, არამედ შესაბამისი სახელშეკრულებო ორგანოს რეკომენდაციების გათვალისწინებას, ასევე, კომიტეტის გადაწყვეტილებების აღსრულებას ეროვნულ დონეზე (ეს უკანასკნელი გამომდინარეობს ინდივიდუალური საჩივრებით მიმართვის პროცედურიდან). სახელშეკრულებო ორგანოები გასცემენ რეკომენდაციებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, გვთავაზობენ ქვეყნებში არსებული გამოწვევების საფუძვლიან ანალიზს და აფასებენ ადამიანის უფლებათა მდგომარეობას - რამდენად და როგორ სრულდება პრაქტიკაში კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ამა თუ იმ სახელმწიფოში. სწორედ ამ მიზნით, ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმები ხელმისაწვდომია უფლებადამცველებისთვის. ეს პროცესი გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაში გლობალურ დონეზე, რათა ინდივიდის უფლებები ადამიანებისთვის არა ილუზორული, არამედ პრაქტიკაში ხელმისაწვდომი იყოს.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებსაც ზედამხედველობას უწევენ სახელშეკრულებო ორგანოები:

- **კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ICERD,1965);**
- **საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR,1966);**
- **საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR,1966);**
- **კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979);**
- **კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და სასჯელის წინააღმდეგ (1984);**
- **კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (1989);**
- **კონვენცია ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ (1990);**
- **კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ (2006);**
- **საერთაშორისო კონვენცია იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის შესახებ (2006).**

ადამიანის უფლებათა დაცვის ამ ცხრა ხელშეკრულების მონაწილე თითოეული სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის საერთაშორისო შეთანხმებებში ასახული უფლებების თანაბარი ხელმისაწვდომობა.

აღსანიშნავია, რომ გაეროს სახელშეკრულებო ორგანოები მოქმედებენ დამოუკიდებლად, პოლიტიკური ან მთავრობათაშორისი ერთეულებისგან განცალკევებულად, როგორებიცაა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო ან გაეროს უშიშროების საბჭო. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვასა და პოპულარიზაციას გლობალურ დონეზე.

სახელმწიფოებმა შესაბამის კომიტეტებს უნდა წარუდგინონ პერიოდული ანგარიშები, რომლებშიც დეტალურად იქნება აღწერილი, რას აკეთებს ქვეყანა ადამიანის უფლებათა განსახილველ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისთვის. ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგისა და სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე რეკომენდაციების გაცემის გზით, ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ეს მექანიზმები სახელმწიფოებს კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულებების სათანადო ხარისხით შესრულებაში ეხმარება.

სქემა N1. კომიტეტში სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის პროცესი (ეტაპები)



მონაწილე სახელმწიფოების მიერ ზედამხედველობის ორგანოებისთვის წარდგენილი ანგარიშები მონიტორინგისა და ამ ორგანოთა ინფორმაციის ძირითადი წყაროა. სახელმწიფოს მიერ მიწოდებული მონაცემების მიღმა, სახელშეკრულებო ორგანოებმა ინფორმაცია შეიძლება მიიღონ სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებიდან (NHRIs), საერთაშორისო და ეროვნული დონის საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან (CSOs), თავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან, მთავრობათაშორისი უწყებებიდან, აკადემიური დაწესებულებებიდან და პროფესიული ჯგუფებისგან. კომიტეტების უმეტესობა კონკრეტულ დროს უთმობს სამოქალაქო ორგანიზაციებისა და გაეროს წინადადებების მოსმენას.

არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების აქტორების და NHRI-ების ჩართულობა გადამწყვეტი ფაქტორია სახელშეკრულებო ორგანოების მანდატის ეფექტიანად შესრულებისთვის. მათი მონაწილეობა იძლევა ღირებულ ინფორმაციას წევრ სახელმწიფოებში

ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, ეხმარება კომიტეტებს შესაბამისი კონვენციებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესრულების ხარისხის შეფასებაში. კომიტეტში წარდგენილი მოხსენებებით საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხელს უწყობენ ადამიანის უფლებათა დაცვის ლოკალური საკითხების გლობალურ აღქმას და ამ კუთხით არსებული ვითარების ერთიანი სურათის ხედვას საერთაშორისო დონეზე.

მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარდგენილი პერიოდული და ალტერნატიული ანგარიშების განხილვით, მონაცემების შეჯერებით და დასკვნითი დაკვირვებების მომზადებით, გაეროს სახელშეკრულებო ორგანოთა სისტემა და ცალკეული კომიტეტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერებაში ეროვნულ დონეზე.

2024 წლის მონაცემებით, გაეროს სისტემაში მოქმედებს ადამიანის უფლებათა დაცვის 10 სახელშეკრულებო ორგანო. ესენია:

- **ადამიანის უფლებათა კომიტეტი**
- **ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი**
- **რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი**
- **ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი**
- **კომიტეტი წამების წინააღმდეგ**
- **წამების პრევენციის ქვეკომიტეტი**
- **ბავშვთა უფლებათა კომიტეტი**
- **მიგრანტ მუშაკთა კომიტეტი**
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კომიტეტი**
- **იძულებით გაუჩინარების კომიტეტი**

ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალურ დონეზე მოქმედ თავდაპირველ ხელშეკრულებებს ზოგ შემთხვევაში მოჰყვება მოგვიანებით შემუშავებული დამატებითი/არჩევითი ოქმები (Additional/Optional Protocol). ეს ოქმები ავსებს არაერთ ხელშეკრულებას, აფართოებს პირველადი დოკუმენტით მოცული უფლებების არეალს, გვთავაზობს შემდგომ არსებით უფლებებს ან მონიტორინგის წესებს. თუმცა, მათი უმრავლესობა პროცედურული ხასიათისაა და ითვალისწინებს შესაბამისი კომიტეტების ფუნქციების გაფართოებას, ინდივიდუალური საჩივრების მექანიზმით მათ აღჭურვას. ინდივიდუალური საჩივრით სახელშეკრულებო ორგანოსთვის მიმართვა შესაძლებელი ხდება იმ შემთხვევაში, თუკი, ადამიანის უფლებათა პირველადი საერთაშორისო ხელშეკრულების გარდა, სახელმწიფო შეუერთდება დამატებით პროცედურულ ოქმსაც (მის რატიფიცირებას მოახდენს), რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური საჩივრების პროცედურის ამოქმედებას წევრი სახელმწიფოსთვის. ფაკულტატიური ოქმები, როგორც ცალკე მდგომი ხელშეკრულებები, სახელმწიფოების მხრიდან ძირითადი ხელშეკრულებისგან დამოუკიდებლად რატიფიკაციას ითვალისწინებს. ყველა ხელშეკრულებას არ აქვს დამატებითი ოქმი, ხოლო ზოგიერთი არ მოიცავს ინდივიდუალური საჩივრით/განაცხადებით მიმართვის შესაძლებლობას (იხ. ცხრილი N3).

ამჟამად არსებობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების შემდეგი დამატებითი/არჩევითი (ფაკულტატიური) ოქმები:

- **სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი (1966 წ.), (ICCPR-OP1);**
- **სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატიური ოქმი, რომელიც მიზნად ისახავს სიკვდილით დასჯის გაუქმებას (1989 წ.), (ICCPR-OP2);**
- **ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი (1999 წ.), (CEDAW-OP);**
- **ბავშვთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვების ჩართვის შესახებ (2000 წ.), (CRC-OP-AC);**
- **ბავშვთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი ბავშვების გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (2000 წ.), (CRC-OP-SC);**
- **წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი (2002 წ.), (OPCAT);**
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი (2006 წ.), (CRPD-OP);**
- **ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი (2008),[7] (ICESCR-OP);**
- **ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატიური ოქმი კომუნიკაციის პროცედურის შესახებ (2014), (CRC-OP-IC).**

კომიტეტებისადმი ინდივიდუალური მიმართვიანობა

ყველას შეუძლია კომიტეტში სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივრის შეტანა, თუ:

- **ადრესატი სახელმწიფო არის მოცემული ხელშეკრულების მხარე (რატიფიკაციის ან შეერთების გზით) და სავარაუდო დარღვევა ექცევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში;**
- **სახელმწიფომ აღიარა კომიტეტის კომპეტენცია, განეხილა ცალკეული საჩივრები რატიფიკაციის ან ფაკულტატიურ ოქმთან მიერთების გზით (ICCPR, CEDAW, CRPD, ICESCR და CRC) ან კონვენციის კონკრეტული მუხლის შესაბამისად განცხადების გაკეთებით (CERD, CAT, CED და CMW).[8]**

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით იშვიათია სახელშეკრულებო ორგანოების მიერ ე.წ. მესამე მხარის პოზიციების წარდგენა (TPI – Third Party Intervention) კომიტეტებში, პრაქტიკაში

[7] ფაკულტატიურ ოქმს ამჟამად 29 მონაწილე და 46 ხელმომწერი სახელმწიფო ჰყავს. მათ შორის არ არის საქართველო, შესაბამისად, ინდივიდუალური კომუნიკაციების პროცედურა საქართველოსთან მიმართებით არ მოქმედებს, იხ. https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IV-3-a&chapter=4 [05.09.2024].

[8] მიგრანტ მუშაკთა კომიტეტისთვის (CMW) ინდივიდუალური საჩივრების მექანიზმი ჯერ არ ამოქმედებულა.

შესაძლებელია, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და ჯგუფებმა, ადამიანის უფლებათა დამცველებმა დამატებით გამოიყენონ ***„სასამართლოს მეგობრის“ (amicus curiae)*** მექანიზმი და შესაბამის კომიტეტებს ამ გზითაც მიაწოდონ თავიანთი მოსაზრებები სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინდივიდუალურ საჩივრებთან მიმართებით.[9]

სქემა N2. გაეროში მოქმედი ადამიანის უფლებათა ზედამხედველობის სისტემა/მექანიზმები



[9] ჯერჯერობით ეს პროცედურა ხშირად არ გამოიყენება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. https://ishr.ch/defenders-toolbox/resources/guide-for-tpis-before-untbs/ [05.09.2024]; ასევე, გაეროს მიერ შემუშავებული რესურსი ფაკულტატიური ოქმის რატიფიკაციის მხარდასაჭერად იხ. https://www.ohchr.org/sites/default/files/documents/hrbodies/cescr/OP-ICESCR-Ratification-Toolkit-EN_0.pdf [05.09.2024].

IV. საქართველოსთვის რელევანტური ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ძირითადი საერთაშორისო სახელშეკრულებო და საზედამხედველო მექანიზმების მიმოხილვა

გაეროს სახელშეკრულებო მექანიზმები

i. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი - CERD

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD) ადამიანის უფლებათა მონიტორინგის გაეროს პირველი სახელშეკრულებო ორგანოა, რომელიც 1970 წელს დაარსდა და ამჟამად 182 სახელმწიფოს აერთიანებს. კომიტეტი პასუხისმგებელია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის (ICERD) იმპლემენტაციის ზედამხედველობაზე. ის შედგება 18 ექსპერტისგან და იკრიბება ***წელიწადში ორჯერ (თებერვალსა და აგვისტოში)*** სამკვირიან სესიებზე. კომიტეტს გადამწყვეტი როლი აკისრია რასობრივ და ეთნიკურ დისკრიმინაციასთან ბრძოლაში, რომელიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ადამიანის უფლებების სრულყოფილი რეალიზაციისთვის მთელ მსოფლიოში. კომიტეტი გარკვეული პერიოდულობით აქვეყნებს „დასკვნით მოსაზრებებს“ სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიშების შემოწმების საფუძველზე, აგრეთვე, გასცემს რეკომენდაციებს. მასვე ეკუთვნის ტერმინ „დისკრიმინაციის“ პირველი და დღემდე მოქმედი განსაზღვრება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.

ii. ადამიანის უფლებათა კომიტეტი - CCPR

ადამიანის უფლებათა კომიტეტი 1976 წელს დაარსდა. ამჟამად ის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მონაწილე 173 სახელმწიფოს აერთიანებს. კომიტეტი გადამწყვეტ როლს ასრულებს ხელშეკრულების აღსრულების მონიტორინგში. ის 18 წევრისგან შედგება და ***წელიწადში სამჯერ იკრიბება სესიებისთვის (მარტში, ივლისსა და ოქტომბერში).*** სესიები ოთხი კვირა გრძელდება. CCPR-ის უპირველესი მიზანია, ხელი შეუწყოს მონაწილე სახელმწიფოების მიერ ICCPR-ით გათვალისწინებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სრულფასოვან სარგებლობას, შეამოწმოს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების შესრულების ხარისხი. პაქტით (ICCPR) დაცულ უფლებათა შინაარსის (კომიტეტის პროფილის) გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა კომიტეტისთვის ინდივიდუალური საჩივრებით მიმართვის პროცედურა ადამიანის უფლებათა ევროპული (სტრასბურგის) სასამართლოსადმი მიმართვის მნიშვნელოვანი ალტერნატივაა. სპეციალიზებული საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია არაერთი დამატებითი რესურსი ადამიანის უფლებათა კომიტეტის მანდატის, საქმიანობის განსამარტად და სამოქალაქო სექტორთან მისი თანამშრომლობის ხელშესაწყობად.[10]

---

[10] იხ. მაგ. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა ცენტრის ინფორმაცია: https://ccprcentre.org/ccpr-working-methods [05.09.2024]. გაეროს ინფორმაცია კომიტეტთან დაკავშირებით: https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/ccpr [05.09.2024]. გაეროს სახელმძღვანელო რესურსი ადამიანის უფლებათა კომიტეტის შესახებ Fact Sheet No. 15 (Rev.

iii. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი - CESCR

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR) 1985 წელს შეიქმნა. ის ზედამხედველობს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის (ICESCR) შესრულებას, რომელიც 171 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. კომიტეტი შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან და მონიტორინგს უწევს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზებას მთელ მსოფლიოში. ის ***წელიწადში სამჯერ (მარტში, მაისსა და სექტემბერში)*** იკრიბება სამკვირიანი სესიებით. CESCR გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაში გლობალურ დონეზე. კომიტეტი აფასებს მონაწილე სახელმწიფოების მიერ პაქტის შესრულებას და მათთვის შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. CESCR აქვეყნებს „დასკვნით მიგნებებს“ განსახილველი სახელმწიფოების მიერ გაგზავნილ ანგარიშებზე დაყრდნობით. სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები რეგულარულად წარუდგენენ მას ჩრდილოვან ანგარიშებს, რომლებშიც მოცემულია ალტერნატიული პერსპექტივები სახელმწიფოების მიერ პაქტის აღსრულებასთან დაკავშირებით.[11]

iv. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი - CEDAW

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) 1982 წელს შეიქმნა. დღეისათვის ის 189 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. კომიტეტს ევალება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის (CEDAW) შესრულების მონიტორინგი. ის შედგება 23 ექსპერტისგან, რომლებიც ***წელიწადში სამჯერ (თებერვალში, ივლისსა და ოქტომბერში)*** სამკვირიან სესიებზე იკრიბებიან. CEDAW კომიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალთა უფლებების დაცვაში გლობალურ დონეზე. გარდა ამისა, ის აქვეყნებს „დასკვნით მიგნებებს“ სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიშების შემოწმების საფუძველზე. ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციები, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე, რეგულარულად აწვდიან CEDAW კომიტეტს საკუთარ შეხედულებებს კონკრეტული სახელმწიფოსა თუ რეგიონის მასშტაბით არსებულ გამოწვევებსა და მიმდინარე პროგრესზე. CEDAW კომიტეტისთვის ჩრდილოვანი ანგარიშების წარსადგენად და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან ალტერნატიული ინფორმაციის მისაღებად, სხვადასხვა ორგანიზაციას შექმნილი აქვს დამატებითი, საჯაროდ ხელმისაწვდომი რესურსი[12] ***(ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმის აღწერისთვის, CEDAW კომიტეტის მაგალითზე, იხ. სქემა N3).***

---

1): Civil and Political Rights: The Human Rights Committee (01.05.2005), https://www.ohchr.org/en/publications/fact-sheets/fact-sheet-no-15-rev-1-civil-and-political-rights-human-rights-committee [05.09.2024].

[11] დამხმარე ინფორმაციისთვის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის კომიტეტთან თანამშრომლობის შესახებ იხ. https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/cescr/guidelines-civil-society-ngos-and-nhris [05.09.2024]. ჩრდილოვანი ანგარიშების თაობაზე: Amnesty International, HOLDING GOVERNMENT TO ACCOUNT A Guide to Shadow Reporting on Economic Social and Cultural Rights, 2014, https://www.flac.ie/assets/files/pdf/cescr_guide_to_shadow_reporting_final_20052014.pdf [05.09.2024].

[12] იხ. მაგ. Participation in the CEDAW Reporting Process: Process and Guidelines for Writing a Shadow/Alternative Report (2010): https://www.iwraw-ap.org/wp-content/uploads/2018/06/NGO-Participation-in-CEDAW-Part-1-and-2-Feb-2010.pdf [05.09.2024]. NDI Handout 2: How to Structure a Shadow Report (CEDAW Shadow Reports) https://www.ndi.org/sites/default/files/Handout%202%20-%20How%20to%20Structure%20a%20Shadow%20Report.doc [05.09.2024].

v. კომიტეტი წამების წინააღმდეგ - CAT

კომიტეტი წამების წინააღმდეგ (CAT), რომელიც 1987 წელს შეიქმნა, მონიტორინგს უწევს წამების წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის (CAT) შესრულებას მისი 169 მონაწილე სახელმწიფოს მიერ. ათი დამოუკიდებელი ექსპერტისგან შემდგარი კომიტეტი იკრიბება ***წელიწადში ორჯერ (მაისსა და ნოემბერში)*** ოთხკვირიან სესიებზე. CAT იღებს ინდივიდუალურ საჩივრებს და აწარმოებს კონფიდენციალურ გამოძიებას მნიშვნელოვანი დარღვევების შესახებ. ამასთანავე, ის აქვეყნებს „დასკვნით მოსაზრებებს" სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიშების შემოწმების საფუძველზე. გარდა ამისა, არსებობს წამების პრევენციის ქვეკომიტეტი (SPT), რომელიც შეიქმნა CAT-ის ფაკულტატიური ოქმით (OPCAT). SPT ატარებს ვიზიტებს დაკავების იზოლატორებში, წარადგენს კონფიდენციალურ ანგარიშებს და ეხმარება სახელმწიფოს ეროვნული პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბებაში.

vi. ბავშვის უფლებათა კომიტეტი - CRC

ბავშვის უფლებათა კომიტეტი (CRC) შეიქმნა 1990 წელს. ის ზედამხედველობს ბავშვის უფლებათა საერთაშორისო კონვენციის (CRC) განხორციელებას ბავშვის უფლებათა კონვენციის მონაწილე 196 სახელმწიფოს მიერ. 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შემდგარი კომიტეტი ***წელიწადში სამჯერ (იანვარში, ივნისსა და სექტემბერში)*** იკრიბება ოთხკვირიან სესიებზე. CRC ასევე აკონტროლებს კონვენციის ფაკულტატიური ოქმების შესრულებას. ეს ოქმები ეხება ბავშვების მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტში, ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციასა და პორნოგრაფიას. ბოლო 30 წლის განმავლობაში CRC-მ გადამწყვეტი როლი შეასრულა ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესებაში, უბიძგა მთავრობებს, მიეღოთ შესაბამისი კანონები და შეეცვალათ პოლიტიკა. კომიტეტი მიზნად ისახავს ბავშვის, როგორც ადამიანის და პირთა ჯგუფის წევრის, მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრას.[13]

vii. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი - CRPD

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი 2006 წელს, გენერალური ასამბლეის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (CRPD) მიღების შემდეგ შეიქმნა. 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შემდგარი კომიტეტი აკონტროლებს მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციის შესრულებას. მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარდგენილი პერიოდული ანგარიშების განხილვის გზით, კომიტეტი აფასებს კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, ფაკულტატიური ოქმი კომიტეტს საშუალებას აძლევს, მიიღოს და გამოიძიოს საჩივრები კონვენციის მნიშვნელოვან ან სისტემატურ დარღვევასთან დაკავშირებით, მათ შორის, სახელმწიფოს თანხმობით, კონფიდენციალური ვიზიტების მეშვეობით. კომიტეტი განიხილავს სახელმწიფოთა ანგარიშებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც ცნობილია, როგორც დასკვნითი დაკვირვებები. გარდა ამისა, ფაკულტატიური ოქმი კომიტეტს საშუალებას აძლევს,

[13] ბავშვის უფლებათა კომიტეტთან საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობაზე დამატებითი რესურსებისთვის იხ. https://archive.crin.org/en/guides/un-international-system/committee-rights-child.html [05.09.2024].

მიიღოს ინდივიდუალური საჩივრები და გამოიძიოს დარღვევები. კომიტეტი ასევე გამოსცემს ზოგად შენიშვნებს.[14]

ცხრილი N1. გაეროს სახელშეკრულებო ორგანოები: საკონტაქტო ინფორმაცია

შენიშვნა: *მწვანე ფერის ტექსტში ბმულები აქტიურია და უკავშირდება გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ვებგვერდს, შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებასა და თითოეულ კომიტეტთან მიმართებით არსებულ ინფორმაციას.*

სახელშეკრულებო ორგანო	მარეგულირებელი კონვენცია	ვებგვერდი (OHCHR)	ელფოსტა/ტელეფონი
რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD)	საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად	https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/cerd	E-mail: cerd@ohchr.org Tel: +41 22 917 97 57
ადამიანის უფლებათა კომიტეტი (CCPR)	საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ	https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/ccpr	E-mail: ccpr@ohchr.org Tel: +41 22 917 92 61
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR)	საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ	https://www.ohchr.org/EN/HRBodies/CESCR/pages/cescrindex.aspx	E-mail: cescr@ohchr.org Tel: +41 22 917 90 00
ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW)	კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ	https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/cedaw	E-mail: cedaw@ohchr.org Tel: +41 22 917 94 43
კომიტეტი წამების წინააღმდეგ (CAT)	კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ	https://www.ohchr.org/EN/HRBodies/CAT/pages/catindex.aspx	E-mail: cat@ohchr.org Tel: +41 22 917 97 06

[14] საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობაზე იხ. https://www.un.org/development/desa/disabilities/about-us/expert-group-meetings/civil-society-participation-in-the-implementation-of-the-convention.html [05.09.2024]; მადრიდის დეკლარაცია პრიორიტეტების შესახებ The Declaration of Madrid, A/62/654, decmadrid.doc (live.com) და რეკომენდაციები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის: Making it work - Civil society participation in the implementation of the Convention on the Rights of Persons with Disabilities, Recommendations from the Expert Group to Civil Society, 2007, madridint.doc (live.com). გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის სახელმძღვანელო ინფორმაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციების CRPD კომიტეტთან თანამშრომლობის შესახებ იხ. https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/crpd/information-and-guidelines-independent-monitoring-mechanisms-and-national-human-rights-institutions [05.09.2024].

ბავშვის უფლებების კომიტეტი (CRC)	კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ	https://www.ohchr.org/EN/HRBodies/CRC/Pages/CRCIndex.aspx	E-mail: cat@ohchr.org Tel: +41 22 917 97 06
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (CRPD)	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია	https://www.ohchr.org/en/hrbodies/crpd/pages/crpdindex.aspx	E-mail: crpd@ohchr.org Tel: +41 22 917 97 03

ცხრილი N2. გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების მიმართ ანგარიშების წარდგენის პერიოდულობა / მონიტორინგის ციკლი

ანგარიშების წარდგენის პერიოდულობა / მონიტორინგის ციკლი					
ხელშეკრულება	**აბრევიატურა**	**მიღების წელი**	**პირველადი ანგარიშის წარდგენის პერიოდი**	**ანგარიშების შემდგომი პერიოდულობა / საანგარიშო პერიოდი**	**საქართველოს პირველადი ანგარიში**
კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ	ICERD	1965	1 წელი	2 წელი	24/05/2000
საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ	ICESCR	1966	2 წელი	5 წელი	25/08/1997
საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ	ICCPR	1966	1 წელი	4 წელი	21/11/1995
კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ	CEDAW	1979	1 წელი	4 წელი	10/03/1998
კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და	CAT	1984	1 წელი	4 წელი	04/06/1996

სასჯელის წინააღმდეგ					
კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ	CRC	1989	2 წელი	5 წელი	07/04/1997
კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ	CRPD	2006	2 წელი	4 წელი	19/07/2018

ცხრილი N3. კომიტეტთან მოქმედი მექანიზმები/ ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენა

კომიტეტი	**მოკვლევის მექანიზმი**	**ინდივიდუალური საჩივრის მექანიზმი**	**ანგარიშის წარდგენის მექანიზმი სამოქალაქო საზოგადოებისთვის**	**ბმულები**
ადამიანის უფლებათა კომიტეტი (CCPR)	X	კონვენციის დამატებითი ოქმით	წერილობითი ანგარიში კომიტეტს უნდა წარედგინოს სხდომამდე ორი კვირით ადრე	• CCPR website • Sessions • CCPR civil society engagement • Model Complaint Form
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR)	თუ კომიტეტმა მიიღო სანდო ინფორმაცია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების მნიშვნელოვან, მძიმე ან სისტემატურ დარღვევაზე	კონვენციის დამატებითი ოქმით	წერილობითი ანგარიში კომიტეტს უნდა წარედგინოს სხდომის დაწყებამდე თვე-ნახევრით ადრე და სამუშაო ჯგუფის სხდომის დაწყებამდე ორი თვით ადრე	• CESCR website • Sessions • CESCR civil society engagement
რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD)	X	ძირითადი კონვენციით	წარმოდგენილი უნდა იყოს კომიტეტის სხდომამდე ორი თვით ადრე	• website • sessions • civil society engagement • Model Complaint Form
ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW)	თუ კომიტეტმა მიიღო სანდო ინფორმაცია კონვენციით გათვალისწინებუ	კონვენციის დამატებითი ოქმით	წერილობითი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს კომიტეტის	• website • sessions • civil society engagement

	ლი უფლებების მნიშვნელოვან, მძიმე ან სისტემატურ დარღვევაზე		სხდომამდე ორი კვირით ადრე	
კომიტეტი წამების წინააღმდეგ (CAT)	თუ კომიტეტმა მიიღო სანდო ინფორმაცია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების მნიშვნელოვან, მძიმე ან სისტემატურ დარღვევაზე	ძირითადი კონვენციით	ანგარიშები წარდგენილი უნდა იყოს კომიტეტის სხდომამდე ექვსი კვირით ადრე	• website • Sessions • Civil society engagement • Model Complaint Form
ბავშვთა უფლებების კომიტეტი (CRC)	თუ კომიტეტმა მიიღო სანდო ინფორმაცია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების მნიშვნელოვან, მძიმე ან სისტემატურ დარღვევაზე	კონვენციის დამატებითი ოქმით	მოხსენებები არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. ანგარიშები უნდა გაიგზავნოს მთავრობის ანგარიშის წარდგენიდან ექვსი თვის შემდეგ	• website • sessions • civil society engagement • Shadow Report Guidance .
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (CRPD)	თუ კომიტეტმა მიიღო სანდო ინფორმაცია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების მნიშვნელოვან, მძიმე ან სისტემატურ დარღვევაზე	კონვენციის დამატებითი ოქმით	ანგარიშები წარმოდგენილი უნდა იყოს კომიტეტის სხდომამდე ორი თვით ადრე	• website • sessions • civil society engagement • Shadow Report Guidance

ცხრილი N4. კომიტეტებთან მოქმედი ინდივიდუალური საჩივრების/კომუნიკაციის პროცედურები და საქართველოს სტატუსი

ინდივიდუალური საჩივრების/კომუნიკაციის პროცედურის მოქმედება საქართველოსთან მიმართებით			
საერთაშორისო სახელშეკრულებო საფუძვლის აღწერა	**სამართლებრივი საფუძველი**	**ინდივიდუალური საჩივრების პროცედურების მიღება**	**მიღების თარიღი**
ინდივიდუალური საჩივრების/კომუნიკაციის პროცედურა წამების წინააღმდეგ კონვენციის მიხედვით	CAT, Art.22	✓	30/06/2005
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი	CCPR-OP1	✓	03/05/1994
ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი	CEDAW-OP	✓	01/08/2002
ინდივიდუალური საჩივრების პროცედურა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მიხედვით	CERD, Art.14	✓	30/06/2005
ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი	CESCR-OP	X	
ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატიური ოქმი	CRC-OP-IC	✓	19/12/2011
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის არასავალდებულო ოქმი	CRPD-OP	✓	12/05/2021

სქემა N3. ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმის აღწერა CEDAW კომიტეტის მაგალითზე



გაეროს ქარტიაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებათა მონიტორინგი: ადამიანის უფლებათა საბჭო (HRC) და მისი საზედამხედველო მექანიზმები

2006 წლის 15 მარტიდან გაეროს სისტემაში ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა საბჭო (Human Rights Council (HRC)), რომელიც ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში განმტკიცებული უფლებების შესრულებას გაეროს 193 წევრი ქვეყნის მასშტაბით.[15] საკუთარი საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისთვის ადამიანის უფლებათა საბჭო იყენებს სხვადასხვა დამხმარე ორგანოს, საექსპერტო მექანიზმს, სამუშაო ჯგუფსა და ფორუმს.[16]

ადამიანის უფლებათა საბჭოს ასევე აქვს ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის პროცედურა - დღემდე ერთადერთი <u>უნივერსალური</u> საჩივრის მექანიზმი, რომელიც ეხება ადამიანის ყველა უფლებას და ძირითად თავისუფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ ქვეყანაში. პროცედურით სარგებლობა და საჩივრის წარდგენა შეუძლია ნებისმიერ პირს, პირთა ჯგუფს ან არასამთავრობო ორგანიზაციას 193 წევრი სახელმწიფოდან ნებისმიერის წინააღმდეგ. წინამდებარე გზამკვლევის მიზნიდან გამომდინარე, განვიხილავთ ადამიანის უფლებათა საბჭოს მხოლოდ იმ მექანიზმს, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა საზოგადოებრივი სექტორის მონაწილეობის თვალსაზრისით.[17]

i. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR)

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR) ადამიანის უფლებათა საბჭოს ერთ-ერთი მძლავრი საზედამხედველო მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც, ადამიანის უფლებათა საბჭოს აქვს მანდატი, პერიოდულად და ე.წ. „ციკლურად“ შეამოწმოს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა გაეროს ყველა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე.

UPR აფასებს, რამდენად პატივს სცემენ სახელმწიფოები ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია: (1) გაეროს წესდებით; (2) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით; (3) ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებით, რომელთა მხარეც სახელმწიფოა (ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები, რატიფიცირებული შესაბამისი სახელმწიფოს მიერ); (4) სახელმწიფოს მიერ აღებული ნებაყოფლობითი დაპირებებით და ვალდებულებებით (მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული პოლიტიკა და/ან განხორციელებული პროგრამები); (5) მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით.[18]

---

[15] იხ. https://ap.ohchr.org/documents/E/HRC/resolutions/A_HRC_RES_5_1.doc [05.09.2024].

[16] მათ შორის, ქარტიაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებათა საბჭოს დამხმარე მექანიზმები მოიცავს: სპეციალურ პროცედურებს (45 - თემატური და 13 - ქვეყნის მანდატი) (Special Procedures), უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვას (UPR), დამოუკიდებელ გამოძიებებს და სხვა დამატებით პლატფორმებს.

[17] დამატებითი ინფორმაცია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს ინსტიტუციური სტრუქტურის და მექანიზმების შესახებ მოცემულია გაეროს „ინსტიტუციური მშენებლობის პაკეტში“ (ივნისი, 2007წ.), დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://ap.ohchr.org/documents/E/HRC/resolutions/A_HRC_RES_5_1.doc [05.09.2024]. საბჭოს შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. https://www.ohchr.org/en/hr-bodies/hrc/about-council [05.09.2024].

[18] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. OHCHR: Basic Facts about the UPR: https://www.ohchr.org/en/hr-bodies/upr/basic-facts#:~:text=The%20UPR%20will%20assess%20the,4)%20voluntary%20pledges%20and%20commitments [05.09.2024].

UPR მიმოხილვას ახორციელებს UPR სამუშაო ჯგუფი (UPR WG), რომელიც შედგება ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრი 47 სახელმწიფოსგან. **UPR WG იკრიბება წელიწადში სამჯერ (იანვარში, მაისსა და ნოემბერში)** ჟენევაში (შვეიცარია). თითოეული სახელმწიფოს განხილვას ეხმარება სამი სახელმწიფოსგან შემდგარი ჯგუფი, რომლებსაც მომხსენებლების როლი აკისრიათ. ისინი თითოეული სახელმწიფოსთვის შეირჩევიან წილისყრით. განხილვა წარმოებს სახელმწიფოსა და გაეროს სხვა წევრ ქვეყნებს შორის ინტერაქტიური დისკუსიის გზით. გაეროს ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია დაუსვას კითხვები და/ან წარუდგინოს რეკომენდაციები განხილვის ციკლში მოქცეულ სახელმწიფოებს. WG სესიები ასევე ხელმისაწვდომია ონლაინ (UN Webcast). უკლებლივ ყველა მიღებული რეკომენდაცია აისახება სამუშაო ჯგუფის საბოლოო ანგარიშში, რომელიც ქვეყნდება ჯგუფის სხდომის დასრულებისას.

განხილვის ქვეშ მყოფმა სახელმწიფოებმა უნდა გამოხატონ პოზიცია („მხარი დაუჭირონ“ ან „აღნიშნონ“) UPR-ის ყველა რეკომენდაციასთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის სხდომიდან დაახლოებით ექვს თვეში UPR-ის განხილვის შედეგები ადამიანის უფლებათა საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასამტკიცებლად გამოდის.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ პროცესში, წარადგინონ მოხსენებები, რომლებიც შესულია ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მიერ მომზადებულ და განხილვამდე გამოქვეყნებულ კრებულში. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სხდომაზე/სესიაზე სახელმწიფოების ანგარიშების განხილვისას შეიძლება დაემატოს „სხვა დაინტერესებული მხარეების“ ანგარიშს. არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ საკითხების ლობირება სახელმწიფო დელეგაციებთან. მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას შეიძლება დაეყრდნოს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც მონაწილეობს ინტერაქტიურ დისკუსიაში სამუშაო ჯგუფის (WG) ფორმატში. არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ საშუალება, დაესწრონ UPR-ის სამუშაო ჯგუფის სესიებს. მათ ასევე შეუძლიათ განცხადებების გაკეთება ადამიანის უფლებათა საბჭოს რეგულარულ სხდომაზე, სადაც საუბარია სახელმწიფო ანგარიშების განხილვის შედეგებზე და გაიცემა რეკომენდაციები.[19]

ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის ევროპული (რეგიონული) სისტემა

ევროპის საბჭოს სისტემაში შემავალი ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სახელშეკრულებო ორგანოები, საზედამხედველო კომიტეტები და კომისიები ავსებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკით ჩამოყალიბებულ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სისტემას და კრავენ ერთიან ღირებულებით წრეს ინდივიდის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების გარშემო.

[19] ადამიანის უფლებათა საბჭოს, UPR-ის მექანიზმისა და მასში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯგუფების მონაწილეობის შესახებ იხ. https://www.ohchr.org/en/hr-bodies/upr/basic-facts [05.09.2024]; აგრეთვე, „INFORMATION AND GUIDELINES FOR RELEVANT STAKEHOLDERS ON THE UNIVERSAL PERIODIC REVIEW MECHANISM“: https://www.ohchr.org/sites/default/files/HRBodies/UPR/Documents/TechnicalGuideEN.pdf [05.09.2024]. https://www.ohchr.org/sites/default/files/documents/hrbodies/upr/sessions/2022-10-24/UPR-4th-cycle-civil-society-guide.pdf [05.09.2024]; https://www.ohchr.org/en/hr-bodies/hrc/complaint-procedure/hrc-complaint-procedure-index [05.09.2024].

ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ევროპული სახელშეკრულებო მექანიზმები მოიცავს შემდეგ ხელშეკრულებებზე დაფუძნებულ მონიტორინგს:

- ***ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950);[20]***
- ***წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კონვენცია (1989);[21]***
- ***ევროპის (შესწორებული) სოციალური ქარტია (1961/1996);[22]***
- ***ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ (FCNM) (1994);[23]***
- ***ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ („ლანსაროტის კონვენცია“) (2007);[24]***
- ***ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2005);[25]***
- ***ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (ე.წ. სტამბულის კონვენცია) (2011).[26]***

ევროპის საბჭოს (CoE) სახელშეკრულებო ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებების მონიტორინგსა და ხელშეწყობაში. დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტებული ეს ორგანოები ზედამხედველობენ ევროპის საბჭოს იმ კონვენციების იმპლემენტაციას, რომელთა მიზანია ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. შემოწმების გზით ისინი წევრ სახელმწიფოებს აკისრებენ პასუხისმგებლობას საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის გათვალისწინებით. არსებითად, ევროპის საბჭოს სახელშეკრულებო ორგანოები ასრულებენ ადამიანის უფლებათა მცველების როლს და ცდილობენ, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა ერთიანი ევროპული ღირებულებითი სივრცის ჩამოყალიბებას, ადამიანის

---

[20] European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms: https://www.echr.coe.int/documents/d/echr/convention_ENG [05.09.2024].

[21] European Convention for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CETS No. 126): https://rm.coe.int/16806dbaa3 [05.09.2024].

[22] ძალაში შესვლის თარიღები, შესაბამისად, European Social Charter (CETS No. 035) [1965] Revised European Social Charter [1999] ევროპის სოციალური ქარტიის და მის ფარგლებში მოქმედი მექანიზმების შესახებ, იხ. https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168048b059 [05.09.2024].

[23] The Framework convention for the Protection of National Minorities (CETS No. 157) ძალაშია 1998 წლიდან.

[24] Convention on the Protection of Children against Sexual Exploitation and Sexual Abuse (Lanzarote Convention) (CETS No. 201): https://rm.coe.int/-lcleaflet/1680990238. კონვენცია არის პირველი რეგიონული ხელშეკრულება, რომელიც უშუალოდ მიმართულია ბავშვთა სექსუალური ძალადობისგან დაცვაზე. ის ძალაში შევიდა 2010 წელს და მას ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ მოაწერა ხელი. დოკუმენტი ხელმოსაწერად ღიაა ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოებისთვისაც.

[25] European Convention on Action against Trafficking in Human Beings (CETS No. 197): https://rm.coe.int/16805d58bc [05.09.2024].

[26] Convention on preventing and combating violence against women and domestic violence (CETS No. 210): https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/text-of-the-convention [05.09.2024]. კონვენცია 2014 წლის 1-ელ აგვისტოს შევიდა ძალში. კონვენციის და მისი მექანიზმების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. https://assembly.coe.int/LifeRay/EGA/WomenFFViolence/HandbookParliamentarians-GE.pdf [05.09.2024]. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია იხ. https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/ngo [05.09.2024].

უფლებების, დემოკრატიის და სამართლის უზენაესობის პატივისცემას, ღირსებასა და თანასწორობას ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში.

i. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ - ECRI

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) დააარსა ევროპის საბჭომ. ის 1994 წლიდან მოქმედებს. კომისია არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგს ევროპის მასშტაბით და სპეციალიზებულია რასიზმსა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კომისია შედგება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი წევრებისაგან, რომლებიც ინიშნებიან მორალური ავტორიტეტისა და რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებში გამოცდილების საფუძველზე. კომისიის წევრთა რაოდენობა უტოლდება ევროპის საბჭოს წევრთა რიცხვს (ამჟამად 46). წესდებით დადგენილ საქმიანობათა ფარგლებში, ECRI ახორციელებს ქვეყნების მონიტორინგს, ეწევა თემატურ სამუშაოს და ურთიერთობს სამოქალაქო საზოგადოებასთან. ქვეყნების მიხედვით მონიტორინგის ფარგლებში, კომისია აანალიზებს ვითარებას თითოეულ წევრ სახელმწიფოში რასიზმისა და შეუწყნარებლობის თვალსაზრისით და გასცემს წინადადებებსა თუ შეთავაზებებს გამოვლენილ პრობლემათა დასაძლევად. ECRI-ის მონიტორინგი ქვეყნების მიხედვით თანაბრად შეეხება ევროპის საბჭოს თითოეულ ქვეყანას. **სამუშაო სრულდება 5 წელიწადში ერთხელ და მოწმდება წელიწადში 9-10 ქვეყანა. ECRI-ის მე-6 მონიტორინგის ციკლი 2019 წელს დაიწყო. საქართველოს შესახებ ანგარიშის საბოლოო ვერსია 2023 წლის ივნისში გამოქვეყნდა.**[27]

ანგარიშების მომზადების სამუშაო მეთოდები მოიცავს დოკუმენტების ანალიზს, შესაბამის ქვეყანაში ვიზიტს და შემდგომ კონფიდენციალურ დიალოგს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან.

ECRI-ის ანგარიში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ თავდაპირველად კონფიდენციალურად ეგზავნება სახელმწიფოს და მხოლოდ ამის შემდგომ ქვეყნდება საჯაროდ, თუ სახელმწიფო ამის წინააღმდეგი არ არის. თემატური სამუშაოს ფარგლებში ECRI ასევე გამოსცემს ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციებს (GPRs), რომლებიც მიემართება ყველა წევრი სახელმწიფოს მთავრობებს, ეხება მათ მიერ განსახორციელებელ მოქმედებებს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მთელ ევროპაში და გამიზნულია სახელმძღვანელოდ პოლიტიკის შემქმნელებისთვის.[28]

კომისიის წესდების მე-10 და მე-13 მუხლების თანახმად, ECRI შეიმუშავებს სამოქმედო პროგრამას სამოქალაქო საზოგადოებისთვის, აგრეთვე, აღრმავებს <u>სამოქალაქო სექტორთან</u> ურთიერთობებს, ხელს უწყობს დიალოგს და ურთიერთპატივისცემას ფართო საზოგადოებაში, ატარებს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს. *ამ მიზნით, შექმნილია „მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი სამოქალაქო საზოგადოებასთან და სპეციალიზებულ ორგანოებთან ურთიერთობისთვის“ (WG on Relations with Civil Society and Specialised Bodies).* სამუშაო ჯგუფი შედგება ECRI-ის ხუთი წევრისგან, რომლებიც აირჩევიან ECRI-ის პლენარულ

[27] ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/sixth-report-on-georgia-georgian-translation-/1680ab9ed5 [05.09.2024].
[28] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროპის საბჭოს პუბლიკაცია ECRI-ის შესახებ: https://rm.coe.int/leaflet-ecri-2022/1680a969e9 [05.09.2024].

სხდომაზე სამწლიანი, ერთხელ განახლებადი ვადით. სამუშაო ჯგუფი, ECRI-ის პლენარული სხდომის მიერ საკითხის დამტკიცების შემთხვევაში: მართავს დისკუსიებს რასიზმის და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალიზებულ ორგანოებთან;[29] აწყობს „მრგვალ მაგიდებს," სადაც წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს ECRI-ის მიერ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასების ანგარიშებში მოყვანილ დასკვნებსა და რეკომენდაციებს; ატარებს კონფერენციებს და მართავს სხვა შესაბამის აქტივობებს ECRI-ის მანდატთან დაკავშირებულ სამოქალაქო საზოგადოების საკითხებზე; შეიმუშავებს და განახორციელებს ECRI-ის მედიასტრატეგიას კომისიის გზავნილისა და მის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ინფორმაციის საზოგადოებამდე მისატანად.[30]

ECRI <u>არ განიხილავს</u> ინდივიდუალურ საჩივრებს. თუმცა, მისი მონიტორინგის ანგარიშები, თემატური რეკომენდაციები და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის მოდალობა მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა სამოქალაქო საზოგადოებისთვის სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში ჩრდილოვანი ანგარიშის წარდგენისას, პირველ ყოვლისა, თანასწორობის უფლების კონტექსტში.

ii. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR) და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი (CM)

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემის ჩამოყალიბებაში ევროპის საბჭოს წვლილს ალბათ ყველაზე მეტად ადამიანის უფლებათა ევროპული (სტრასბურგის) სასამართლოს საქმიანობა განსაზღვრავს. როგორც სამართლებრივი ორგანო, ეს სასამართლო მსჯელობს მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით[31] განმტკიცებულ ადამიანის უფლებათა შელახვის ფაქტებზე, ინდივიდების, ჯგუფების, იურიდიული პირების ან სახელმწიფოების მიერ წარდგენილი საჩივრების საფუძველზე. სასამართლო ევროპის საბჭოს სივრცეში ადამიანის უფლებებზე ზედამხედველობის ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია, თუმცა ის სუბსიდიურია - ე.ი. არ ანაცვლებს ეროვნულ დონეზე მოქმედ სასამართლოებს, არ არის ე.წ. მე-4 ინსტანცია, არამედ მსჯელობს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ კონვენციით (და ოქმებით) ნაკისრი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების ჭრილში. სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება სავალდებულოა. პროცესზე მონიტორინგს ახორციელებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი.

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, რომელიც წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისგან შედგება.[32] კომიტეტი მინისტრების დონეზე

[29] ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის No2 და No7 რეკომენდაციების შესაბამისად.

[30] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ECRI-ის სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამუშაო ჯგუფის მანდატის აღმწერი დოკუმენტი "Terms of Reference Of ECRI's Working Group On Relations With Civil Society And Specialised Bodies", https://rm.coe.int/terms-of-reference-of-ecri-s-working-group-on-relations-with-civil-soc/16808c67ba [05.09.2024].

[31] ევროპული კონვენციის სისტემა ამჟამად თავად ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (1950) და მის 16 დამატებით ოქმს მოიცავს. მათგან ზოგიერთი პროცედურული ხასიათისაა, სხვა ოქმები კონვენციით დაცულ არსებით უფლებათა წრეს აფართოებს.

[32] COUNCIL OF EUROPE, WORKING WITH THE COUNCIL OF EUROPE: A PRACTICAL GUIDE FOR CIVIL SOCIETY, 2022, 17, https://rm.coe.int/work-with-coe-guide-english-2022/1680a66592 [18.10.2024].

იკრიბება წელიწადში ერთხელ, ხოლო მინისტრების მიერ დანიშნული მუდმივი წარმომადგენლების დონეზე - დაახლოებით, წელიწადში 30-35-ჯერ.[33]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებიდან 6 თვის ვადაში, მისი აღსრულების მიზნით, მინისტრთა კომიტეტს ქვეყნის ხელისუფლება წარუდგენს სამოქმედო გეგმას (action plan), რომელშიც გაწერილია სახელმწიფოს მიერ შესასრულებელი ღონისძიებები და მათი განხორციელების ვადები.[34] ამ გეგმის შესრულების შემდეგ ასევე წარუდგენს ანგარიშს (action report), რომელშიც აღწერილია მიღებული ზომები და ახსნილია, თუ რატომ არ არის საჭირო ახალი ზომების მიღება.[35] კომიტეტი, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მონიტორინგის მიზნით, წელიწადში ოთხჯერ მართავს სპეციალურ შეხვედრებს (CMDH), რომლებზეც მიიღებს შესაბამის საბოლოო ან შუალედურ რეზოლუციებს.[36]

აღსრულების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ, გაგზავნონ წერილობითი კომუნიკაცია ნებისმიერი საქმის შესახებ, მის დახურვამდე.[37] თუ კომუნიკაცია შეეხება საქმეს, რომელიც კონკრეტულ CMDH-ზე განიხილება, ის უნდა გაიგზავნოს ამ CMDH-ის დღის წესრიგის გამოქვეყნებიდან დაუყოვნებლივ, შესაძლებლობისთანავე.[38] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტის (DEJ) რეკომენდაციის მიხედვით, კომუნიკაცია უნდა გაიგზავნოს შეხვედრამდე მინიმუმ 6 კვირით ადრე.[39] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეიძლება სურდეთ, თავიანთ კომუნიკაციაში უპასუხონ სახელმწიფოს სამოქმედო გეგმაში/ანგარიშში წამოჭრილ თემებსაც, რამაც, შესაძლოა, გაართულოს შესაბამის ვადებში მისი გაგზავნა.[40] ამისთვის თავის ასარიდებლად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ, გაგზავნონ ორი კომუნიკაცია: ერთი - შეხვედრამდე 6 კვირით ადრე და მასში ასახონ საქმის ირგვლივ მოვლენათა მნიშვნელოვანი განვითარება და კომენტარები; ხოლო მეორე - სახელმწიფოს მიერ სამოქმედო გეგმის/ანგარიშის წარდგენიდან დაუყოვნებლივ და უპასუხონ მასში წამოჭრილ საკითხებს.[41]

სამოქმედო გეგმები, სახელმწიფოს ანგარიშები, სამოქალაქო საზოგადოების მიერ გაგზავნილი კომუნიკაციები და სახელმწიფოს პასუხები ხელმისაწვდომია მინისტრთა კომიტეტის[42] და HUDOC-EXEC-ის ვებგვერდებზე.[43]

---

[33] იქვე.
[34] Guide for the drafting of action plans and reports for the execution of judgments of the European Court of Human Rights, https://rm.coe.int/guide-drafting-action-plans-reports-en/1680592206 [18.10.2024].
[35] იქვე.
[36] Council of Europe, Rules and working methods of the Committee of Ministers, https://www.coe.int/en/web/execution/rules-and-working-methods [18.10.2024].
[37] Council of Europe, Communications by NHRIs/CSOs, https://www.coe.int/en/web/execution/nhri-ngo#{%2244361690%22:[3]} [18.10.2024].
[38] იქვე.
[39] EIN, Implementation of Judgments of the European Court of Human Rights A Handbook for NGOs, injured parties and their legal advisers, 2020, 14-15, https://static1.squarespace.com/static/55815c4fe4b077ee5306577f/t/5e1c2ac53d0fa72e53f955c4/1578904366756/202001_EIN_HandbookEN_Website.pdf [21.10.2024].
[40] იქვე.
[41] იქვე.
[42] https://www.coe.int/en/web/cm/latest-dh-documents [18.10.2024].
[43] https://hudoc.exec.coe.int/ENG#{%22execdocumenttypecollection%22:[%22CEC%22]} [18.10.2024].

iii. ლანსაროტის კომიტეტი - Lanzarote Committee

მონაწილე სახელმწიფოების მიერ სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელია ლანსაროტის კომიტეტი, რომლის წევრთა რაოდენობა ემთხვევა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვს. ლანსაროტის კომისიის წევრები არიან ექსპერტები ბავშვთა უფლებების სფეროში. კომიტეტი ატარებს შეხვედრებს სტრასბურგში, როდესაც ამას მოითხოვს მხარეთა ერთი მესამედი ან ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი. ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოს, დამკვირვებელი ქვეყნების, ევროკავშირის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, სხვა მთავრობათაშორისი, ასევე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ამ შეხვედრებში დამკვირვებლის სახით.

iv. ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი - GRETA

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც 2008 წლის 1-ელ თებერვალს შევიდა ძალაში, მიზნად ისახავს ადამიანებით ვაჭრობის პრევენციას, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას და ადამიანებით მოვაჭრეთა სამართლებრივი დევნის უზრუნველყოფას.[44]

ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (GRETA) პასუხისმგებელია, შეაფასოს, ასრულებენ თუ არა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის საბჭოს კონვენციის მონაწილე ქვეყნები დადგენილ მოთხოვნებს. კონვენცია მოიცავს ადამიანებით ვაჭრობის და ექსპლუატაციის ყველა ფორმას და ვრცელდება ტრეფიკინგის ყველა მსხვერპლზე. მასში აგრეთვე წარმოდგენილია ის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას.[45] GRETA შედგება 15-მდე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი ექსპერტისგან (იურისტები, სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები, ფსიქოლოგები, ექიმები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ა.შ.), რომლებიც კონვენციის წევრ-სახელმწიფოთაგან აირჩევიან. GRETA-ს წევრები ინიშნებიან 4 წლით, ერთხელ განახლებადი ვადით.

GRETA წევრ-სახელმწიფოებს სთავაზობს საკუთარ ცოდნას ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე, ის რეგულარულად სტუმრობს წელიწადში 10 მონაწილე სახელმწიფოს და შეიმუშავებს შეფასების ანგარიშს, რომლის კომენტირებასაც სთხოვს შესაბამისი ქვეყნის მთავრობას. კომენტარები შედის ანგარიშში, რომელსაც შემდგომ აქვეყნებს ევროპის საბჭო.[46]

სამოქალაქო საზოგადოება GRETA-სთვის ინფორმაციის მიმწოდებელი მნიშვნელოვანი წყაროა. შეფასებითი ვიზიტების განმავლობაში GRETA შეხვედრებს მართავს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან

---

[44] იხ. „ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია: მონიტორინგის მექანიზმი“ (THB–INF (2013)1), https://rm.coe.int/16805d58bc [05.09.2024].

[45] დამატებითი ინფორმაცია GRETA-ს სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე იხ. https://www.coe.int/en/web/anti-human-trafficking/greta [05.09.2024].

[46] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროპის საბჭოს ბროშურა „ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია: მონიტორინგის მექანიზმი“, https://rm.coe.int/16805d58bc [05.09.2024].

(პროფკავშირებთან, ადვოკატთა ასოციაციასთან, სამეცნიერო წრეებთან). მან შეიძლება კითხვარი ან ინფორმაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოთხოვნა გაუგზავნოს საზოგადოებრივი სექტორის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც ინფორმაციის სანდო წყაროზე აქვთ წვდომა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ალტერნატიული ანგარიშების წარდგენის ხელშეწყობის მიზნით, GRETA-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია დამხმარე გზამკვლევი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.[47]

GRETA-ს შეფასების ბოლო, მე-3 რაუნდის ანგარიში საქართველოსთან დაკავშირებით 2021 წელს გამოქვეყნდა.[48] ამჟამად შეფასების მე-4 რაუნდი მიმდინარეობს, რომელიც 2023 წლის 30 ივნისს დაიწყო.[49]

v. სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ - GRECO

GRECO (Group of States against Corruption) 1999 წელს ევროსაბჭომ დააფუძნა საბჭოს ანტიკორუფციულ სტანდარტებთან მისი წევრი სახელმწიფოების შესაბამისობის მონიტორინგის მიზნით. GRECO არის პლატფორმა კორუფციის პრევენციისა და გამოვლენის კუთხით საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისთვის. მისი მიზანია, გააუმჯობესოს წევრების შესაძლებლობები ევროსაბჭოს ანტიკორუფციული სტანდარტების მონიტორინგის გზით და ურთიერთშეფასების *(mutual evaluation)* და კოლეგიური ზეწოლის *(peer pressure)* დინამიკური მეთოდების გამოყენებით. ეს ჯგუფი ეხმარება ქვეყნებს, დაადგინონ თავიანთი ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკის ხარვეზები და სთავაზობს მათზე მორგებულ საჭირო სამართლებრივ ინსტიტუციურ და პრაქტიკულ რეფორმებს. შეფასება მოიცავს თავდაპირველი კითხვარის გაგზავნას, ქვეყანაში GRECO-ს ექსპერტთა (წევრ სახელმწიფოთაგან შერჩეული 3-4 პიროვნება) ვიზიტს და შეფასების ანგარიშის შემუშავებას. „შესაბამისობის პროცესის“ ეტაპზე GRECO-ს შეფასების ანგარიშიდან 18 თვის განმავლობაში სახელმწიფომ მას „სიტუაციის“ ანგარიში უნდა გაუგზავნოს. წინასწარ შერჩეული ორი მომხსენებელი სრული ან ნაწილობრივი შესაბამისობის დასადგენად შეაფასებს და გააანალიზებს სახელმწიფოს მიერ თითოეულ რეკომენდაციასთან მიმართებით გატარებულ ზომებს და დაადგენს, საჭიროა თუ არა შემდგომი ანგარიში.[50]

GRECO-მ საქართველოს შეფასების ანგარიში ბოლოს 2024 წლის 9 ივლისს გამოაქვეყნა (შეფასების მე-5 რაუნდი).[51]

---

[47] Guidance for NGOs to report to GRETA https://documentation.lastradainternational.org/lsidocs/Guidance%20for%20NGOs%20to%20report%20to%20GRETA.pdf [05.09.2024].

[48] GRETA(2021)02, https://rm.coe.int/greta-report-on-the-implementation-of-the-council-of-europe-convention/1680a1c79a [05.09.2024].

[49] https://www.coe.int/en/web/anti-human-trafficking/country-reports-and-evaluation-rounds [05.09.2024].

[50] მეტი ინფორმაციისთვის იხ. https://www.coe.int/en/web/greco/faq#{%2222358480%22:[0]} [05.09.2024].

[51] GrecoEval5Rep(2023)3, https://rm.coe.int/cinquieme-cycle-d-evaluation-prevention-de-la-corruption-et-promotion-/1680b0d356 [05.09.2024].

vi. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი - CPT

„წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი" (CPT) წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის (1989) საფუძველზე მოქმედი კომიტეტია. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ორგანიზებას უწევს ვიზიტებს დაკავების ადგილებში, რათა შეაფასოს, როგორ ეპყრობიან თავისუფლებააღკვეთილ პირებს. ეს ადგილები მოიცავს: ციხეებს, არასრულწლოვანთა დაკავების ადგილებს, პოლიციის განყოფილებებს, იმიგრირებულ პირთა დაკავების ადგილებს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს, სოციალური დაცვის სახლებს და სხვ. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციები სარგებლობენ შეუზღუდავი შესვლისა და გადაადგილების უფლებით დაკავების ადგილებში. ისინი პირადად ესაუბრებიან თავისუფლებააღკვეთილ პირებს და ასევე თავისუფლად უკავშირდებიან ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც ინფორმაციის მიწოდება შეუძლია. CPT არ განიხილავს ინდივიდუალურ საჩივრებს/განაცხადებს.

CPT-ის მიერ საქართველოში განხორციელებული პერიოდული ვიზიტის ანგარიში ბოლოს 2022 წელს,[52] ხოლო ad hoc ვიზიტის ანგარიში - 2024 წელს[53] გამოქვეყნდა. ამასთანავე, 2024 წელს 8 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, დაგეგმილია CPT-ის პერიოდული ვიზიტი.[54]

vii. სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი აკონტროლებს წევრი ქვეყნების შიდა კანონმდებლობების შეთავსებას ევროპული სოციალური ქარტიის მოთხოვნებთან. მის 15 დამოუკიდებელ წევრს ირჩევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ექვსწლიანი ვადით. კომიტეტი ორი პროცედურის საშუალებით ასრულებს ზედამხედველობის ფუნქციას: ესენია ანგარიშგების და კოლექტიური საჩივრების პროცედურები. კომიტეტს არ გააჩნია ინდივიდუალური საჩივრებით მიმართვის მექანიზმი, თუმცა 1995 წელს მიღებული დამატებითი ოქმით დაინერგა კოლექტიური საჩივრების პროცედურა.[55] წევრი ქვეყნები რეგულარულად წარადგენენ ანგარიშებს ქარტიის დებულებათა შესრულების შესახებ. თითოეული ანგარიში მზადდება ქარტიის იმ დებულებებზე დაყრდნობით, რომლებზეც სახელმწიფოა მიერთებული. ქარტიის მონაწილე ქვეყნები ვალდებულნი არიან, მიიღონ სოციალური ქარტიით განსაზღვრული ცხრამეტი მუხლიდან არანაკლებ ათი, მათ შორის, სულ მცირე ხუთი - ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეული შემდეგი შვიდი უფლება/თავისუფლებიდან: *მუშაობის უფლება; ორგანიზების უფლება; კოლექტიური მოლაპარაკების უფლება; სოციალური უზრუნველყოფის უფლება; სოციალური დაცვის მომსახურებით სარგებლობის უფლება; ოჯახის სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის უფლება; მიგრანტ მუშაკთა და მათი ოჯახების უფლება*

---

[52] CPT/Inf (2022) 11, https://rm.coe.int/1680a6eabd [05.09.2024].

[53] CPT/Inf (2024) 02, https://rm.coe.int/1680ae2dd0 [05.09.2024].

[54] https://www.coe.int/ka/web/cpt/-/le-comit%C3%A9-anti-torture-du-conseil-de-l-europe-annonce-des-visites-p%C3%A9riodiques-dans-huit-pays-en-2024 [05.09.2024].

[55] საქართველო ამ ოქმს და, შესაბამისად, კოლექტიური საჩივრების პროცედურას მიერთებული არ არის. ეს პროცედურა ამჟამად მოქმედებს 16 სახელმწიფოში, ხოლო თავად ქარტია (რომელიმე ან ორივე ვერსია) - ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანაში (46).

დაცვასა და დახმარებაზე.[56] კომიტეტი შეისწავლის ვითარებას წევრ ქვეყნებში და ადგენს, შეესაბამება თუ არა იგი ქარტიის მოთხოვნებს. მისი „დასკვნები“ ყოველწლიურად ქვეყნდება. თუ წევრი სახელმწიფო არაფერს მოიმოქმედებს კომიტეტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს დასკვნას, რომ ეს ქვეყანა არ ასრულებს ქარტიის მოთხოვნებს, მინისტრთა კომიტეტი უფლებამოსილია, მას რეკომენდაცია გაუგზავნოს და მოსთხოვოს ვითარების შეცვლა როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ დონეზე.

კომიტეტის ბოლო დასკვნები საქართველოსთან დაკავშირებით 2024 წლის მარტში გამოქვეყნდა და იგი ბავშვების, ოჯახისა და მიგრანტების საკითხებს შეხებოდა.[57]

viii. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი - GREVIO

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO) ადამიანის უფლებათა მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის მანდატიც მოიცავს ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით (CETS No. 210, „სტამბოლის კონვენცია“) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს. ის შედგება 15-მდე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტისგან, რომლებიც ინიშნებიან ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და/ან მსხვერპლთა დახმარებისა და დაცვის სფეროებში თავიანთი აღიარებული ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, 4 წლის, ერთხელ განახლებადი ვადით.

კონვენციის იმპლემენტაციის გასაუმჯობესებლად, GREVIO სახელმწიფოს აძლევს კონკრეტულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც შემუშავებულია შესაბამისი სახელმწიფოს ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა მოიცავს: GREVIO-ს საბაზისო კითხვარის საფუძველზე წარმოდგენილი სახელმწიფო ანგარიშის განხილვას; შეფასებით ვიზიტს სახელმწიფოში შესაბამის სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებთან შესახვედრად; მხარის მიერ წარმოდგენილი კომენტარების განხილვას GREVIO-ს ანგარიშის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით. ქვეყანაში სიტუაციური შეფასების პროცესში GREVIO აგროვებს დამატებით ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებიდან და ევროპის საბჭოს ორგანოებიდან.[58] ექსპერტთა ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს პროფილურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. შეუძლია, საჭიროებისამებრ, დამატებითი მოსმენები ჩანიშნოს საზოგადოებრივ სექტორთან. GREVIO ასევე ხელს უწყობს თემატური კოალიციების და ქსელების მუშაობას კონვენციის საკითხებზე.

---

[56] საქართველომ 2005 წლის 22 აგვისტოს განახორციელა ევროპის სოციალური ქარტიის გადამუშავებული ვერსიის რატიფიცირება და 98 პუნქტიდან 63 მიიღო. დამატებითი მონაცემები და ინფორმაცია კომიტეტთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ იხ. https://www.coe.int/en/web/european-social-charter/georgia [05.09.2024].

[57] European Committee of Social Rights Conclusions 2023 GEORGIA, https://rm.coe.int/conclusions-2023-georgia-en-2749-7001-4985-1/1680aedd0e [05.09.2024].

[58] GREVIO-ს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ. https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/ngo [05.09.2024].

2018 წლიდან მხარეთა კომიტეტი (სტამბულის კონვენციის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული პოლიტიკური ორგანო), GREVIO-ს დასკვნების საფუძველზე, რეკომენდაციებს წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც სამი წლის ვადაში უნდა შეასრულონ ეს რეკომენდაციები და მოახსენონ კომიტეტს დადგენილი ანგარიშგების ფორმით.

საქართველოსთან დაკავშირებით GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში ბოლოს 2022 წელს გამოქვეყნდა.[59]

ix. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის „ჩარჩო კონვენციის" მრჩეველთა კომიტეტი - FCNM Advisory Committee

„ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ძალაში შევიდა 1998 წელს. კონვენცია არის ყოვლისმომცველი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების დასაცავად შეიქმნა. მისი ტექსტი შეიცავს როგორც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებებს, ასევე, სახელმწიფოთა მიერ შესასრულებელ დამატებით ვალდებულებებს. სახელმწიფო ანგარიშების მიღმა, საკონსულტაციო კომიტეტი ინფორმაციას სხვა წყაროებიდანაც იღებს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ჩრდილოვანი/ალტერნატიული ანგარიშებიდან. რეზოლუცია CM/Res(2019)49-ის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებს და უმცირესობათა ასოციაციებს საკვანძო როლი აქვთ ჩარჩო კონვენციის მონიტორინგის მექანიზმში.[60] მის შესრულებას მონიტორინგს უწევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტთან (Advisory Committee) ერთად. მრჩეველთა კომიტეტი შედგება დამოუკიდებელი, 4 წლის ვადით არჩეული 18 ექსპერტისგან, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სფეროში. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ, ნებისმიერ დროს მიაწოდონ ინფორმაცია მრჩეველთა კომიტეტს ნებისმიერი ქვეყნის შესახებ. თუმცა, ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენისთვის ყველაზე შესაფერისი მომენტია სახელმწიფოს ანგარიშის მიღების შემდგომ ქვეყანაში ვიზიტამდე ან, უშუალოდ, ამ ვიზიტის თანმდევი პერიოდი (follow-up). FCNM მრჩეველთა კომიტეტს პროაქტიულადაც შეუძლია, მოიძიოს ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან.

FCNM მრჩეველთა კომიტეტის ანგარიში საქართველოსთან დაკავშირებით ბოლოს 2024 წელს გამოქვეყნდა.[61]

---

[59] GREVIO/Inf(2022)28, https://rm.coe.int/grevio-new-final-geo/1680ab2bb3 [05.09.2024].
[60] საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობაზე მეტი ინფორმაცია იხ. https://www.coe.int/en/web/minorities/role-of-ngos [05.09.2024].
[61] ACFC/OP/IV(2023)2, https://rm.coe.int/4th-op-georgia-en/1680b08a31 [05.09.2024].

სქემა N4. როგორ ხდება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის „ჩარჩო კონვენციის“ (FCNM) მონიტორინგი

ცხრილი N5. ევროპის საბჭოს სახელშეკრულებო ორგანოები და საქართველო

სახელშეკრულებო ორგანოები	ხელშეკრულება	მონიტორინგის ორგანო	დაარსების წელი / ხელ შეკრულების ძალაში შესვლა	პირველადი ანგარიშის წარდგენის პერიოდი	ანგარიშების შემდგომი პერიოდულობა /	საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი
ლანსაროტის კომიტეტი	ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ	Lanzarote Committee/ ლანსაროტის კომიტეტი	2007	1 წელი	X	01/01/2015
ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი	ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია	GRETA	2008	5 წელი	5 წელი	01/02/2008
სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ	კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციის შესახებ სამოქალაქო სამართლის კონვენცია	GRECO	1999	1 წელი	4 წელი	01/05/2008 (კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენცია); 01/11/2003 (კორუფციის შესახებ სამოქალაქო სამართლის კონვენცია); 01/05/2014 (კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის დამატებითი ოქმი).
წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო	წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია	CPT	1987	1 წელი	1-3 წელი	01/10/2000

ევროპული კომიტეტი						
ეროვნულ უმცირესობათა დაცვის „ჩარჩო კონვენციის" მრჩეველთა საბჭო	ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ	FCNM Advisory Committee / მრჩეველთა საბჭო	1998	1 წელი	5 წელი	01/04/2006
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი	ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია	GREVIO	2011	1 წელი	5 წელი	01/09/2017
სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი	ევროპული სოციალური ქარტია	ECSR	1950	2 წელი	4 წელი	01/10/2005

ნაწილი 2

ჩრდილოვანი ანგარიშის დოკუმენტის სტრუქტურირება - ორგანიზების მეთოდები

V. ჩრდილოვანი ანგარიშის შედგენა: მოსამზადებელი ფაზა

როგორც დოკუმენტის პირველ ნაწილში იყო მიმოხილული, ალტერნატიული მოხსენებები / ჩრდილოვანი ანგარიშები შექმნილია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ან ადვოკატირების ჯგუფების მიერ და მოიცავს ალტერნატიულ ინფორმაციას ქვეყნის პოლიტიკისა და სხვადასხვა თემატური სამართლებრივი ჩარჩოს შესახებ. ეს ანგარიშები ხშირად ოფიციალური სახელმწიფო ანგარიშების პარალელურად მზადდება. მათში წარმოდგენილი კრიტიკული ანალიზი ხშირად ეყრდნობა პირველწყაროზე დაფუძნებულ ცოდნას და ასახავს ადგილზე (მათ შორის, ადგილობრივ თემში) მიღებულ ინფორმაციას. სახელშეკრულებო ორგანოების პრაქტიკიდან გამომდინარე (მაგალითად, CEDAW, CRC კომიტეტები), ჩრდილოვანი ანგარიშები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სხვადასხვა საკითხის ადვოკატირების დამატებით ინსტრუმენტებად გვევლინება.

ალტერნატიულ მოხსენებებში აღწერილია კონტექსტი, საკანონმდებლო ჩარჩოები, მთავრობების მიერ უგულებელყოფილი საკითხები, მიღწეული პროგრესი. ანგარიშებში წარმოდგენილია რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებებისთვის.

ჩრდილოვანი ანგარიშები განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც ისინი ტექნიკურად შედგენილია იმ ოფიციალური ანგარიშების ფორმატის მსგავსად, რომელთა ალტერნატივასაც წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, მოხსენებების შედგენისა და გამოყენების მიმართ განსხვავებული მიდგომები არსებობს. ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადება ყველა კონკრეტული მექანიზმისთვის არ არის სავალდებულო, რაც, გარკვეულწილად, განაპირობებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოქნილობას, პოლიტიკის ხარვეზების და მისი განხორციელების საკითხების სტრატეგიული განხილვისთვის სხვადასხვა მექანიზმი და ტაქტიკა შეარჩიონ.

რა შევიტანოთ ჩრდილოვან ანგარიშში?

- ☐ თქვენს (საზოგადოებრივი ორგანიზაციების) ხელთ არსებული ახალი მტკიცებულებები, რომლებიც მანამდე უცნობი იყო სახელშეკრულებო ორგანოსთვის (კომიტეტისთვის).
- ☐ ადამიანის უფლებების სახელმწიფოსეული შეფასების კრიტიკა; სახელმწიფო ანგარიშში არსებული უზუსტობების ხაზგასმა.
- ☐ დამატებითი კონტექსტი და ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება კომიტეტს, უკეთესად აღიქვას ქვეყანაში კონკრეტულ სფეროში (მაგალითად, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების,

ბავშვთა დაცვის) და/ან ზოგადად არსებული გარემო (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ა.შ.).

- ☐ დოკუმენტირებული დარღვევები და ხარვეზები კონკრეტული მტკიცებულებებით.
- ☐ დამატებითი ჩვენებები, რომლებიც მეტ სიცხადეს სძენს შექმნილ სურათს, ზედმიწევნით აკონკრეტებს პრობლემურ საკითხებს და აძლიერებს მოხსენების პროცესში მოყვანილ არგუმენტებს.
- ☐ რეკომენდაციები, როგორ გააუმჯობესოს სახელმწიფომ (საქართველომ) ადამიანის უფლებათა კონკრეტული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
- ☐ შეკითხვები, რომლებიც გსურთ, რომ კომიტეტმა დაუსვას სახელმწიფოს მისი ანგარიშის განხილვის პროცესში.

ადამიანის უფლებათა შესაბამისი ხელშეკრულების იდენტიფიცირება

აირჩიეთ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება, რომელიც შეესაბამება თქვენს პროფილს/სამუშაო თემატიკას და ადამიანის უფლებათა საყურადღებო დარღვევებს.

გაეცით პასუხი შეკითხვებს:

- ☐ ***რა ძირითადი თემები და ადამიანის უფლებათა დარღვევებია გამოსასწორებელი?***
- ☐ ***შერჩეულ თემებსა და საკითხებთან მიმართებით ადამიანის უფლებების რომელი ხელშეკრულებაა ყველაზე აქტუალური?***
- ☐ ***შეესაბამება თუ არა ამ თემაზე მუშაობა ჩვენს ორგანიზაციულ მიზნებს?***
- ☐ ***ყურადღებას გავამახვილებთ ხელშეკრულების ყველა თუ კონკრეტულ საკითხზე? (პროფესიულის მიღმა, ობიექტურად შეაფასეთ თქვენი სხვა რესურსებიც).***
- ☐ ***მოახდინა თუ არა სახელმწიფომ განსახილველი ხელშეკრულების რატიფიცირება, გააკეთა თუ არა რაიმე დათქმა?***
- ☐ ***რა საორიენტაციო ვადებია გათვალისწინებული მომდევნო სახელმწიფო და ჩრდილოვანი ანგარიშებისთვის?***

კარგად დაწერილი მოხსენება არის კარგად სტრუქტურირებული, მკაფიო და მიზნობრივ აუდიტორიაზე მორგებული. ქვემოთ მოცემული სტრატეგიების დაცვით და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, პრაქტიკოსებს შეუძლიათ, შექმნან გავლენიანი ანგარიშები, რომლებიც ეფექტურად აწვდის მკითხველს მათ მიგნებებსა და რეკომენდაციებს. გზამკვლევში ხაზგასმულია დაგეგმვის, აუდიტორიის ინფორმირებულობისა და სიცხადის მნიშვნელობა, რათა ანგარიში იყოს როგორც ინფორმაციული, ასევე, მკითხველისთვის მიმზიდველი და სათანადოდ აღქმადი.

i. ჩრდილოვანი ანგარიშის აგება: სტრუქტურა და ორგანიზაცია

არაერთ წყაროში ხაზგასმულია კარგად ორგანიზებული და სტრუქტურირებული ანგარიშის მნიშვნელობა. მოხსენების სტრუქტურა შეიძლება განსხვავდებოდეს აუდიტორიისა და მიზნის მიხედვით, მაგრამ, ჩვეულებრივ, ყველა ანგარიში მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. **შესავალი**

- ☐ კონტექსტური და ფონური ინფორმაცია
- ☐ ანგარიშის მიზნები
- ☐ სფერო და მეთოდოლოგია

2. **ძირითადი ნაწილი (ტექსტი), რომელიც ორგანიზებულია:**

- ☐ **ადამიანის უფლებათა საკითხების მიხედვით**: დოკუმენტის შიდა სტრუქტურა დაყავით განყოფილებებად, რომლებიც ტექსტს ადამიანის უფლებების თითოეული კონკრეტული დარღვევის მიხედვით დაანაწევრებს. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ინფორმაციის დაჯგუფებას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ დარღვევები ერთმანეთს ემთხვევა, ამან შეიძლება გამოიწვიოს ტექსტის სიჭარბე და გამეორება დარღვევების გადაფარვის ადგილებში.
- ☐ **ქრონოლოგიურად**: შესაფერისია დროთა განმავლობაში განვითარებული მოვლენების აღწერისთვის. ეს მეთოდი მკითხველს ეხმარება, თვალყური ადევნოს ინფორმაციის ნაკადს. თუმცა, მისი გამოყენება შეიძლება გართულდეს, თუკი დარღვევები მთელ საანგარიშო პერიოდს ეხება/გასდევს.
- ☐ **სამთავრობო აქტორის პასუხის მიხედვით**: ფოკუსირებულია სხვადასხვა სამთავრობო აქტორის (უწყებების) მიერ წარმოდგენილ პასუხებზე. ეს მიდგომა ეფექტურია მიზანმიმართული სამართლებრივი ან სისტემური ცვლილებებისთვის და შეიძლება სტრუქტურირებული იყოს სექტორების მიხედვით (მაგალითად, სამართალდამცველი, სასამართლო სისტემა, განათლების სექტორი).

3. **დასკვნა**

- ☐ დასკვნების შეჯამება
- ☐ რეკომენდაციები
- ☐ გავლენა პოლიტიკასა და პრაქტიკაზე

4. **დანართები**

- ☐ დამატებითი მონაცემები, სქემები და დამატებითი მასალები

ცხრილი N6. ჩრდილოვანი ანგარიშის სახელმძღვანელო სტრუქტურა

განყოფილება	სავალდებულო/ სურვილისამებრ	აღწერა
თავფურცელი **Eng: Cover Page**	სავალდებულო	პირველი გვერდი: სათაური, თარიღი, ავტორ(ებ)ის სახელი; მეორე გვერდი: ავტორები, რეცენზენტები და კონტრიბუტორები, დაფინანსების დეტალები, საკონტაქტო ინფორმაცია.
სარჩევი **Eng: Table of Content**	სავალდებულო	ანგარიშის თავების/ქვეთავების, შესაბამისი განყოფილებების სია.
აღიარება/მოხსენიება **Eng: Acknowledgements**	სურვილისამებრ	განცხადება, რომელიც გამოხატავს ავტორ(ებ)ის მადლიერებას სხვა ადამიანების წვლილისთვის ან ანგარიშისადმი მხარდაჭერისთვის. ეს ინფორმაცია შეიძლება დავიტანოთ ყდის მეორე გვერდზე.
აბრევიატურების სია **Eng: List of Abbreviations**	სურვილისამებრ	აბრევიატურების ანბანური სია მკითხველისთვის მათი მნიშვნელობის გასარკვევად.
შემაჯამებელი მიმოხილვა (რეზიუმე) **Eng: Executive Summary**	სავალდებულო	ანგარიშში წამოჭრილი ძირითადი საკითხებისა და საყურადღებო სფეროების შეჯამება; მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები დეტალების გარეშე.
რეკომენდაციები **Eng: Recommendations**	სავალდებულო	იმის მითითება, თუ რა უნდა გაკეთდეს, რა საკითხები უნდა გადაწყდეს, რომელი პოლიტიკა უნდა გადაიხედოს, ვინ უნდა იმოქმედოს (რა დონეზე – ლოკალური, ეროვნული თუ საერთაშორისო), შემოთავაზებული პოლიტიკის განსახორციელებლად საჭირო პროცესები და რესურსები.
შესავალი **Eng: Introduction**	სავალდებულო	აღწერილია ანგარიშის ფარგლები და მიზნები, მონაცემთა შეგროვების პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგია, ანგარიშის ფონი და კონტექსტი. ფონის და კონტექსტის მიმოხილვა მოიცავს შესაბამისი სამართლებრივი და საკანონმდებლო ჩარჩოების შესწავლას, ასევე, ქვეყანაში სხვადასხვა თემატურ სფეროში მოქმედ და მის შესატყვის საერთაშორისო პოლიტიკას, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის ანალიზს, მათ შორის, შესაბამის ზოგად სტატისტიკას. შესავალში წარმოდგენილია დოკუმენტში მოცემული ძირითადი საკითხების ვრცელი შეჯამება.
ანალიზი/ძირითადი ტექსტი **Eng: Analysis /Main Body**	სავალდებულო	სამართლებრივი, საკანონმდებლო ბაზისა და პოლიტიკის, საერთაშორისო/რეგიონული ვალდებულებების, ასევე, პრაქტიკაში მათი განხორციელების ანალიზი. ტექსტის ამ მონაკვეთში განხილულია სახელმწიფოს მიერ ამ ვალდებულებათა შესრულების დადებითი მაგალითები, აგრეთვე, ის გამოწვევები და პრობლემები, რომლებსაც ადგილობრივი თემები უფლებების დაცვაზე ხელმისაწვდომობის კუთხით აწყდებიან.
დასკვნა **Eng: Conclusion**	სავალდებულო	დასკვნითი მოსაზრებები, მიგნებები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ანგარიშის ტექსტში საფუძვლიანად დასაბუთებულ პუნქტებზე. ამ ნაწილში უნდა შეაჯამოთ კონკრეტული შედეგები და გადმოსცეთ,

		რა დადგინდა. დასკვნა უნდა იყოს ლაკონიური, მოკლე და, საორიენტაციოდ, ნაშრომის 10%-ს შეადგენდეს.
დანართი Appendix /Annex N	სურვილისამებრ	განყოფილება დამატებითი ინფორმაციისთვის, რომელიც, არ არის აუცილებელი, იყოს მოხსენების ნაწილი, მაგრამ სასურველია, მკითხველს მასზე ხელი მიუწვდებოდეს.

ii. ალტერნატიული მოხსენების აკადემიურ წერასთან დაკავშირებული საკითხები

შემაჯამებელი მიმოხილვა (რეზიუმე)

ძალიან მნიშვნელოვანია, გქონდეთ მოკლე და კონკრეტული შეჯამება, არა უმეტეს 2 გვერდისა. მკითხველთა უმეტესობა ჯერ ამ ნაწილს გადაამოწმებს, მათი ნაწილი კი, დროის სიმცირის გამო, დიდი ალბათობით, მხოლოდ რეზიუმეს წაიკითხავს. აქ მთავარია, მათთვის ძირითადი გზავნილების მიწოდება შეძლოთ.

კონტრიბუტორთა აღიარება/მოხსენიება

თუ გსურთ, გამოხატოთ მადლიერება, შეადგინეთ ანგარიშში მონაწილეთა, მათ შორის, იმ პირების/ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებიც მონაწილეობენ მონაცემთა შეგროვებაში, წერაში, განხილვაში, რედაქტირება-კორექტირებაში, დიზაინსა და უკუკავშირში. დარწმუნდით, რომ გაქვთ თანხმობა მათი სახელების ხსენებაზე.

რეკომენდაციები

უნდა იყოს კონკრეტული და მორგებული ადრესატ უწყებებზე, რომლებიც პოლიტიკის შექმნაზე არიან პასუხისმგებელნი. რეკომენდაციებს უნდა ერთოდეს შესაბამისი ვადები. გაითვალისწინეთ სხვადასხვა მონაწილე აქტორის უფლებამოსილება და ამის საფუძველზე მოარგეთ მათ თქვენი რეკომენდაციები.

დასკვნა

დასკვნა, შესავალ ნაწილთან ერთად, ნაშრომის ჩარჩოს ქმნის. ის პასუხს სცემს საკვლევ კითხვას *(მაგალითად, რამდენად ეფექტიანად შეასრულა სახელმწიფომ მასზე კონკრეტული კონვენციით დაკისრებული ვალდებულებები კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში?)* და აჩვენებს, როგორ განხორციელდა კვლევის მიზანი. ანგარიშის ამ ნაწილში უნდა შეაჯამოთ მიგნებები, გადმოსცეთ, რა დადგინდა კვლევისა და ანალიზის შედეგად. თუ თემატურია, შეგიძლიათ, დასახოთ სამომავლო პერსპექტივები. დასკვნაში არ უნდა იმსჯელოთ ისეთ ახალ თემებზე/საკითხებზე, რომლებიც ნაშრომის ძირითად ნაწილში არ გიხსენებიათ. გაითვალისწინეთ, დასკვნა უნდა იყოს ლაკონიური, მოკლე და ნაშრომის მხოლოდ 10%-ს შეადგენდეს.

სადემონსტრაციო საქმეები და ჩვენებები

თუ გადაწყვეტთ სასამართლო საქმეებისა და ჩვენებების ანალიზს, შერჩეული მაგალითები უნდა იყოს ლაკონიური და გასაგები. მნიშვნელოვანია, რომ აღწერილი სიტუაცია უფრო ფართო ჯგუფისთვის (მოსახლეობის ნაწილის) დამახასიათებელი მდგომარეობის სადემონსტრაციო ეგზემპლარი იყოს. თუ თქვენ მიერ აღწერილი მაგალითი არის ინდივიდუალური შემთხვევა ან

იზოლირებული ინციდენტი, დარწმუნდით, რომ არ ამტკიცებთ მის „რეპრეზენტაციულობას“, ანუ არ საუბრობთ მთელი საზოგადოების სახელით.

iii. ჩრდილოვანი ანგარიშის სამიზნე აუდიტორია

ეფექტიანი ჩრდილოვანი ანგარიშის შესადგენად ხშირად გადამწყვეტია სამიზნე აუდიტორიის სწორად გაგება. ანგარიშის შედგენისას, სასურველია, გაითვალისწინოთ შემდეგი:

☐ აუდიტორიის იდენტიფიცირება

დაადგინეთ, ვინ წაიკითხავს ანგარიშს (მაგალითად, სახელმშეკრულებო ორგანოს ექსპერტი წევრები, თანამშრომლები, პოლიტიკის შემქმნელები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფართო საზოგადოება) და შესაბამისად მოარგეთ შინაარსი.

☐ კითხვის დონე

რეკომენდებულია, დოკუმენტი გადატვირთული არ იყოს იურიდიული ენით. სასურველია, თავი შეიკავოთ კომპლექტური პროფესიული ტერმინებისგან, ან განმარტოთ ისინი. დოკუმენტის ტექსტი უნდა იკითხებოდეს მარტივად, ისე, რომ სხვა პროფესიის წარმომადგენლებმა შეძლონ იმის გაგება, რა არის პრობლემა და გამოსავალი.

☐ შესაბამისობა და ჩართულობა

ჩართეთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც თქვენს ანგარიშს მეტად ღირებულს გახდის, *მაგალითად, განსხვავდება სახელმწიფოს მიერ უკვე წარდგენილი ინფორმაციისგან, სიახლეა ან აღწერს განსხვავებულ ხედვას.* დარწმუნდით, რომ შინაარსი მიმზიდველი და აღქმადია.

☐ ანგარიშის შედგენის ენა

თუ თქვენი ეროვნული კონტექსტის მიღმა უფრო ფართო აუდიტორიაზე გაქვთ გათვლა, ანგარიში უნდა დაიწეროს ინგლისურ ენაზე, ან, სულ მცირე, მისი შემაჯამებელი მიმოხილვა (რეზიუმე) უნდა ითარგმნოს ინგლისურად.

რჩევები და წინადადებები ეფექტიანი ანგარიშის მართლწერის და სანდოობისთვის

☐ სიცხადე და სიზუსტე

გამოიყენეთ გასაგები და ზუსტი ენა. წინადადებები უნდა იყოს მკაფიოდ აგებული, რათა არ იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას. გაითვალისწინეთ, რომ ტექსტი ხშირად არამშობლიურ ენაზეა შედგენილი, ან უნდა ითარგმნოს, შესაბამისად, ერიდეთ გრძელ (რთულ ქვეწყობილ) წინადადებებს, რაც ართულებს ტექსტის წაკითხვას და აღქმას. სათანადო ყურადღება დაუთმეთ მართლწერას.

მაქსიმალურად მოერიდეთ ე.წ. „პროფესიულ ჟარგონს“, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი აუდიტორია ვიწრო საექსპერტო წრეა. ზომიერად გამოიყენეთ საკვლევ საკითხთან დაკავშირებული დარგობრივი ტერმინები, საჭიროების შემთხვევაში კი, განმარტეთ ისინი. „პროფესიული ჟარგონისა“ და ტერმინოლოგიისგან

თავისუფალი ტექსტი გაზრდის მის ხელმისაწვდომობას და აღქმადობას ფართო მკითხველისთვის, რამაც შეიძლება დამატებითი პერსპექტივა წარმოშვას თქვენ მიერ შერჩეული საკითხების საზოგადოებაში ადვოკატირებისთვის.

☐ **სანდოობა და გამჭვირვალობა**

ახსენით მეთოდოლოგიები და მონაცემთა წყაროები სანდოობის გასაძლიერებლად. სადაც საჭიროა, დაიცავით კონფიდენციალურობა. მაქსიმალურად შეინარჩუნეთ ობიექტური პროპორცია პოზიტიურ მიღწევებსა და ნეგატიურ შედეგებს შორის. გამოწვევებთან ერთად, კონსტრუქციულად აღნიშნეთ, რა გაკეთდა. ეს სანდოობას სძენს თქვენს მოხსენებას და თანმდევ კრიტიკასაც უფრო მისაღებს ხდის.

☐ **თანმიმდევრული სტილი**

გამოიყენეთ ერთგვაროვანი ტონი და სტილი მოხსენებაში, რათა უზრუნველყოთ ტექსტის წაკითხვის თანმიმდევრულობა *(flow)* და, შესაბამისად, იმუშაოთ აუდიტორიის განწყობაზე. ჩრდილოვანი ანგარიშის ზოგადი ტონი „ნეიტრალურად კრიტიკულია“. ეს ნიშნავს, რომ ავტორ(ებ)ის კრიტიკა მიემართება სახელმწიფოს, თუმცა პიროვნულად დისტანცირებულია. ამასთანავე, ის არის ზრდილობიანი და „არაშეურაცხმყოფელი“. ნეგატიური დატვირთვის მქონე ტერმინები კარგად გააზრებული და სათანადოდ მისადაგებული უნდა იყოს *(არ გააბუქოთ და არც დააკნინოთ დარღვევა, პრობლემა, გამოწვევა აღმატებული, ხატოვანი ან დამცირებაზე ორიენტირებული სიტყვებით).*

☐ **დამხმარე ვიზუალური საშუალებები**

ჩართეთ სქემები, გრაფიკები და ცხრილები მონაცემთა მხარდასაჭერად და აღქმის გასაუმჯობესებლად.

სასურველია:

- ☐ ააგოთ მკაფიო სტრუქტურა სათაურებით და ქვესათაურებით.
- ☐ წეროთ მარტივი ენით, სადად, არ გამოიყენოთ რთული ქვეწყობილი წინადადებები.
- ☐ დოკუმენტში შეიტანოთ დასკვნებისა და რეკომენდაციების შეჯამება.
- ☐ დარწმუნდეთ, რომ ყველა მონაცემი ზუსტია და წყაროები სათანადოდ არის მითითებული.
- ☐ გამოიყენოთ ვიზუალური საშუალებები ტექსტის შესავსებად.

დაუშვებელია:

- ☐ ზედმეტად რთული ენის ან ჟარგონის გამოყენება.
- ☐ არასაჭირო ინფორმაციის შეტანა.
- ☐ არ დაგავიწყდეთ ტექსტის რედაქტირება.
- ☐ ნუ უგულებელყოფთ მკითხველისთვის ფორმატირებისა და დიზაინის მნიშვნელობას.
- ☐ არ შეუქმნათ საფრთხე ანგარიშის სანდოობას არასანდო წყაროების გამოყენებით (მაგალითად, ვიკიპედია, არასათანადოდ დოკუმენტირებული ჩვენებები და ა.შ.).

iv. ალტერნატიული მოხსენების გუნდის სტრუქტურები, ფორმირება, მოდელები და სტრატეგიები

კარგი ანგარიშის შედგენა ხშირად მის მომზადებაზე პასუხისმგებელი გუნდის/„მწერალი ჯგუფის“ სწორ შემადგენლობასა და დინამიკაზეა დამოკიდებული. მხოლოდ გამართული გუნდი უზრუნველყოფს შედეგების, მიგნებების მაქსიმალურად ეფექტიანად მიტანას სამიზნე აუდიტორიამდე. შესაბამისად, შრომის სწორად გადასანაწილებლად და ქმედითი კომუნიკაციისთვის აუცილებელია შესაბამისი საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარება. *წარმოგიდგენთ იმ საკითხების/სტრატეგიების ჩამონათვალს, რომლებიც საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ჩრდილოვანი ანგარიშისთვის მზადების ეტაპზე და უშუალოდ ანგარიშის წერის პროცესში.*

☐ დაგეგმვა და გუნდის ფორმირება:

1. ძირითადი „მწერალი ჯგუფის“ იდენტიფიკაცია:

- ☐ ადამიანის უფლებების, კვლევის, ადვოკატირებისა და კომუნიკაციის სფეროში გამოცდილების მქონე ძირითადი წევრების იდენტიფიცირება.
- ☐ დაზარალებული ჯგუფების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.
- ☐ ფინანსური მენეჯმენტის საკითხების წინასწარი განხილვა მკაფიო მოლოდინების დასადგენად.

2. „მწერალი ჯგუფის“ როლები და პასუხისმგებლობები:

- ☐ განსაზღვრეთ კონკრეტული როლები და პასუხისმგებლობები გუნდის თითოეული წევრისთვის.
- ☐ შეთანხმდით და დააწესეთ შიდა მოხსენებისა და მონიტორინგის მექანიზმები.
- ☐ გაითვალისწინეთ სამუშაო დატვირთვისა და სტრესის მართვა, განსაკუთრებით, თუ თქვენი გუნდი მოხალისეებისგან შედგება.

3. გააფორმეთ ურთიერთგაგების მემორანდუმი (MOU):

- ☐ შეადგინეთ მემორანდუმი, რომელიც ასახავს ჩრდილოვანი ანგარიშგების პროცესში ჩართული ყველა მხარის შეთანხმებას და ვალდებულებებს.

☐ გუნდის სტრუქტურის მოდელები:

1. მოდელი 1:

- მცირე ძირითადი ჯგუფი („მწერალი ჯგუფი“) მართავს ყოველდღიურ საქმიანობას.
- ძირითადი ჯგუფის წევრები წარმოადგენენ მათ შესაბამის ორგანიზაციებს და პროექტში ჩართულ უფრო დიდ გუნდს.

2. მოდელი 2:

- ყველა ჩართული ორგანიზაცია და პირი რეგულარულად იკრიბება, რათა განიხილონ პროგრესი და დაგეგმონ სამომავლო საქმიანობა.
- მთავარია კოორდინაცია და რეგულარული კომუნიკაცია.

3. ალტერნატიული მოხსენების გუნდის მოდელები:

- **ცალკეული ორგანიზაცია:** კონკრეტული ექსპერტიზის მქონე ერთი ორგანიზაცია ამუშავებს ანგარიშს.
- **თემატური კოალიციები:** მსგავს თემებზე მომუშავე ორგანიზაციები ქმნიან კოალიციას თემატური ანგარიშის წარსადგენად.
- **არსებული ქსელების ბაზა:** წინა საანგარიშო პერიოდებში ჩამოყალიბებული და გამოცდილი ქსელების ბაზაზე, გრძელდება თანამშრომლობა ახალ ანგარიშ(ებ)ზე.
- **ინკლუზიური ეროვნული კოალიციები:** ქვეყანაში არსებული ყველა შესაბამისი ორგანიზაცია ჩართულია ერთობლივი ანგარიშის შემუშავებაში.

☐ **საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციები: დადებითი და უარყოფითი მხარეები**

1. ღირებულება:

- ფართო კვლევის შესაძლებლობა, ხელმისაწვდომობა და ადვოკატირება.
- მეტი რესურსი და კავშირების ფართო ქსელი.
- გაძლიერებული გავლენა ერთიანი პოზიციის წარმოდგენით.
- უნიკალური ადვოკატირების პოზიცია შესაბამისი კომიტეტის დონეზე.

2. გამოწვევები:

- ახალი კოალიციების შესაქმნელად საჭირო დრო და ენერგია.
- ფინანსური რესურსების და გაწეული სამუშაოს აღიარების გაზიარებასთან დაკავშირებული გამოწვევები.
- კოალიციის შიგნით კონფლიქტების რისკი ან ნდობის ნაკლებობა.

ზემოხსენებული ელემენტების ინტეგრირებით, ალტერნატიული მოხსენების გუნდებს შეუძლიათ, ეფექტურად დაგეგმონ, სტრუქტურირდნენ და განახორციელონ საკუთარი საქმიანობა. ეს ზრდის ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების/ჯგუფების გავლენას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

☐ **სხვა შესაბამისი სტრატეგიები**

1. საკომუნიკაციო გეგმები:

- შეიმუშავეთ ყოვლისმომცველი საკომუნიკაციო გეგმა გუნდის შიდა კოორდინაციისთვის და პერიოდული გარე საინფორმაციო გამოცემა, რომელიც ფართო საზოგადოებაზეა გათვლილი.

2. ვადების გაწერა:

- დავალების ვიზუალიზაციისა და პროგრესის მონიტორინგისთვის დეტალურად გაწერეთ ანგარიშგების ციკლზე მორგებული ვადები. სასურველია, შექმნათ დავალებებზე ორიენტირებული ცხრილი ვადების და პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ან საკითხების მითითებით.

3. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა:

- დაამყარეთ ურთიერთობა ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან და შეინარჩუნეთ გამჭვირვალე კომუნიკაცია ნდობისა და თანამშრომლობისთვის.

4. მოქნილობა და ადაპტაცია:

- გაითვალისწინეთ პოტენციური ცვლილებები გუნდის შემადგენლობაში და დარწმუნდით, რომ, ასეთ შემთხვევაში, სტრუქტურა შეძლებს მასთან ადაპტირებას.

როგორ შევქმნათ ეფექტიანი სამუშაო ჯგუფი ჩრდილოვანი ანგარიშის შესადგენად: რჩევები და წინადადებები

ნაბიჯი 1: ანგარიშის შედგენაზე პასუხისმგებელი „მწერალი ჯგუფის“ იდენტიფიცირება

საწყის ეტაპზე (წინა თავში მოცემული რჩევების გათვალისწინებით) ჩამოაყალიბეთ მცირე ჯგუფი ალტერნატიული მოხსენების მოსამზადებლად. დაგეგმეთ პროცესი, აქცენტი გააკეთეთ გუნდურ უნარებზე, ცოდნაზე, რესურსებსა და თქვენს ხელთ არსებულ დროზე. გაითვალისწინეთ, ამ ეტაპის გასავლელად რამდენიმე დღეა საჭირო.

ნაბიჯი 2: წარსული გამოცდილების გაანალიზება

განიხილეთ წარსულში თქვენი (ორგანიზაციის) ჩართულობა ჩრდილოვანი მოხსენების შემუშავებაში. შეაფასეთ წინა საანგარიშო ციკლების საუკეთესო პრაქტიკა, დადებითი თუ უარყოფითი გამოცდილება („გაკვეთილები“). შეამოწმეთ, წარუდგინეს თუ არა თქვენს ქვეყანაში სხვა ორგანიზაციებმა მოხსენებები იმავე სახელშეკრულებო ორგანოს.

უპასუხეთ შეკითხვებს:

- აქამდე ვყოფილვართ თუ არა ჩართულნი ჩრდილოვანი ანგარიშის შემუშავებაში?
- რამდენად შევაფასეთ წინა საანგარიშო პერიოდებში ჩართულობა საუკეთესო პრაქტიკის გამოკვეთის და შეცდომების ანალიზის კუთხით?
- რამდენად გვაქვს ინფორმაცია წინა პროცესებთან დაკავშირებული ფინანსური საკითხების (ხარჯების) და შესაბამისი ბიუჯეტების შესახებ?

ნაბიჯი 3: ჩრდილოვანი მოხსენების გუნდის მოდელის განსაზღვრა

აირჩიეთ: ერთი გაერთიანებული ალტერნატიული მოხსენება ან მრავალი ჩრდილოვანი მოხსენება

- ერთმა ერთობლივმა ანგარიშმა შეიძლება აჩვენოს სამოქალაქო საზოგადოების ერთიანობა და უფრო დიდი გავლენა მოახდინოს.
- თუ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა შეუძლებელია, შეიძლება საჭირო გახდეს მრავალი პარალელური მოხსენების გაგზავნა.

- ანგარიშებისთვის განსაზღვრული მოცულობის ლიმიტაციიდან გამომდინარე, შესაძლოა, მოსახერხებელი იყოს თემატური ანგარიშების წარდგენა, ნაცვლად გაერთიანებული 1 ანგარიშისა.

აირჩიეთ თქვენზე მორგებული ალტერნატიული მოხსენების გუნდის მოდელი:

- ინდივიდუალური ორგანიზაცია სპეციფიკური გამოცდილებით.
- თემატური ქსელები ან კოალიციები.
- სანდო თანამშრომლობითი ქსელები წინა საანგარიშო ციკლებიდან.
- ეროვნული ინკლუზიური კოალიციები.

ნაბიჯი 4: კოალიციაში მუშაობის პერსპექტივის შეფასება

თუ კოალიციაში იმუშავებთ, გექნებათ:

- მეტი რესურსი და ფართო კომუნიკაცია.
- უფრო ძლიერი ადვოკატირება და კავშირები.
- ერთიანი მიდგომა გაზრდის გავლენას.

კოალიციაში მუშაობას თავისი გამოწვევებიც ახლავს:

- შრომატევადია კოალიციის მშენებლობა და შემდგომ მისი მართვა.
- უნდა გადაჭრათ რესურსების (ადამიანური, ფინანსური, პროფესიული) განაწილების, გაწეული სამუშაოს აღიარებისა და ნდობის საკითხები.
- რეალურია გამოწვევები მოხსენების შინაარსის შერჩევისა და ადვოკატირების სტრატეგიების შეთანხმებაში.

ნაბიჯი 5: ყოვლისმომცველი სამუშაო (ტექნიკური) გეგმის შედგენა

- პოტენციური გართულებების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, თავიდანვე შეადგინოთ ყოვლისმომცველი და, იმავდროულად, რეალისტური სამოქმედო გეგმა. მართალია, მუშაობის პროცესში მასში კორექტივებს შეიტანთ, თუმცა ის უნდა დარჩეს ერთგვარ გენერალურ გზამკვლევად.
- ამ გეგმაში უნდა აისახოს: რა მოსამზადებელი სამუშაოებია გასაწევი და რა ვადებში; როგორ უნდა გადანაწილდეს პასუხისმგებლობები ჯგუფის შიგნით; რა პროფესიული, ადამიანური, ფინანსური რესურსია საჭირო; რა ვადაში და ვის მიერ უნდა შესრულდეს საეტაპო მონაკვეთები; ვინ არის პასუხისმგებელი დოკუმენტის შესაბამისი მონაკვეთების მიღებასა და დადასტურებაზე; ვინ ითავებს საბოლოო ხარისხის კონტროლს ტექნიკური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით; რომელი ფორმები უნდა შეირჩეს გუნდის შიდა და საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის; სხვა შინაარსობრივი თუ ტექნიკური საკითხები.

გზამკვლევი: 12 ნაბიჯი ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადებისა და ადვოკატირებისთვის

მოსამზადებელი სამუშაოები

1. განსაზღვრეთ თქვენი კომპეტენცია

1.1. რა საკითხებზე/თემებზე მუშაობთ?

1.2. რა შედეგების მიღწევა გსურთ?

1.3. ვისთან შეგიძლიათ ითანამშრომლოთ პროექტზე მუშაობისას? რა რესურსი აქვთ მათ?

– მაქსიმალურად სწრაფად ჩართეთ ისინი თქვენს გუნდში.

2. გამოკვეთეთ მოკავშირეები

2.1. რომელი სხვა ორგანიზაციები ან ექსპერტები შეიძლება დაინტერესდნენ მოხსენების თემაზე თქვენთან თანამშრომლობით (მე-5 - მე-8 ნაბიჯები) ან თქვენს ანგარიშზე „ხელმოწერით“, მას შემდეგ, რაც მუშაობას დაასრულებთ? (მე-9 ნაბიჯი);

2.2. უახლესი ინფორმაციის მისაღებად, შეეცადეთ, იპოვოთ მოკავშირეები შესაბამის ქსელებსა ან კვლევით დაწესებულებებში;

2.3. გახსოვდეთ, ცალკეული ჩრდილოვანი ანგარიში, რომელიც მხარდაჭერილია საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ჯგუფის მიერ, ან ამ ანგარიშების ნაკრები, რომელსაც წარადგენს ფართო ქსელი, ყოველთვის მეტი ეფექტის მქონეა, ვიდრე სპორადული წარდგინებები.

3. გამოყავით შესაბამის უფლებათა სპექტრი

3.1 იგეგმება თუ არა ქვეყნის შეფასება ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სახელშეკრულებო ორგანოს მიერ ან უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში? თუკი ასეა, რომელ ხელშეკრულებებთან მიმართებით შემოწმდება სახელმწიფოს პროგრესი?

3.2 რა კავშირია თქვენს საქმიანობასა და განსახილველი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს შორის?

3.3 ხელშეკრულების რომელი მუხლებია ყველაზე აქტუალური?

3.4 რამდენად განმარტა სახელშეკრულებო ორგანომ ამ უფლებათა შინაარსი, მაგალითად, „ზოგად კომენტარებში“?

4. გადახედეთ პროცესს დღემდე

როგორ მიმდინარეობდა მოცემული უფლებების იმპლემენტაციის სტატუსის შეფასება დღემდე?

4.1. გაეცანით ბოლო მიმოხილვის შედეგებს;

4.2. წაიკითხეთ მთავრობის მიერ წარდგენილი ბოლო ანგარიში;

4.3. გაეცანით კომიტეტის მიერ დასმული საკითხების სიას და მთავრობის პასუხებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.4. გაეცანით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხილვის პროცესში წარდგენილ ანგარიშებს;

4.5. გაეცანით ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სხვა მექანიზმების ბოლო განხილვის შედეგებს;

4.6. არსებობს თუ არა საკითხის მომწესრიგებელი ეროვნული ან ადგილობრივი კანონმდებლობა ან/და სასამართლოების მოსაზრება.

5. კონკრეტულად განსაზღვრეთ თქვენი როლი

როგორ შეიძლება კონკრეტულ უფლებებსა და განსაზღვრულ საკითხებზე თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციის დაზუსტება?

5.1. შესაძლოა, თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე, ხელი მიგიწვდებათ არსებულ მასალებზე?

5.2. პირველწყაროდან მიიღოთ ინფორმაცია უფლებების ხელმისაწვდომობის, შეზღუდვისა ან ჩამორთმევის შესახებ:

- 5.2.1. მსხვერპლები/დაზარებულები, რომელთა უფლებებიც შეილახა;
- 5.2.2. დაზარალებულებთან/მსხვერპლებთან მომუშავე ადვოკატები;
- 5.2.3. თვითმხილველები, რომლებიც უფლებათა დარღვევის ფაქტს შეესწრნენ;

5.3. თქვენი ორგანიზაციის ანგარიშები;

5.4. სხვა სპეციალიზებული ცოდნა;

5.5. სხვა ინფორმაცია იმის თაობაზე, რატომ არის თქვენი სამუშაო მნიშვნელოვანი, ან როგორ შეიძლება უფლებების უკეთესად დაცვა და ხელშეწყობა, რის შესახებაც მონიტორინგის ხელშეკრულების ორგანომ უნდა იცოდეს.

6. დასახეთ მიზნები

რა მიზნები გაქვთ მომავალი მიმოხილვისთვის? იფიქრეთ, თქვენთვის მნიშვნელოვან რა საკითხებზე საუბარს ისურვებდით კომიტეტის წევრებისა და დელეგატებს მხრიდან. ამ კონტექსტში, გაითვალისწინეთ, რომ:

6.1. ექსპერტები სამთავრობო დელეგაციას უსვამენ შეკითხვებს;

6.2. ექსპერტები განხილვის პროცესში მთავრობას აძლევენ რეკომენდაციებს, როგორ შეიძლება ადამიანის უფლებების უკეთესად დაცვა და ხელშეწყობა, აგრეთვე, როგორ უნდა შეამოწმოს და შეაფასოს სახელმწიფომ ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ქვეყანაში.

დაგეგმეთ და შეაგროვეთ ინფორმაცია

7. შეადგინეთ და განახორციელეთ სამუშაო გეგმა

როგორ შეგიძლიათ თქვენი ინფორმაციის გამოყენება (მე-5 ნაბიჯი) მიზნების მისაღწევად (მე-6 ნაბიჯი)?

7.1. შეაგროვეთ ინფორმაცია;
7.2. თვალყური ადევნეთ ინფორმაციის წყაროებს;
7.3. იფიქრეთ იმაზე, როგორ უზრუნველყოთ, რომ თქვენ მიერ შეგროვებული ინფორმაცია იყოს სანდო, შესაბამისი და განახლებული;
7.4. მოიფიქრეთ, როგორ შეიძლება გამოიყენოთ ეს ანგარიში მისი წარდგენის შემდეგ სათემო მობილიზაციისთვის. გაწერეთ შესაბამისი ეტაპები, მაგალითად, დაგეგმეთ მისი საზოგადოებრივი განხილვა ადგილობრივ დონეზე.

სურვილისამებრ: ჩამოაყალიბეთ საკომუნიკაციო გეგმა თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად. რა უპირატესობებს გვთავაზობს ამ მხრივ გაეროს განხილვის პროცედურა?

სურვილისამებრ: აღწერეთ დამატებითი ინფორმაცია.

მოიცავით:

7.5. ინტერვიუები;
7.6. დაკვირვებები;
7.7. მედიამონიტორინგი;
7.8. ხელისუფლების ორგანოებისთვის წერილობითი შეკითხვების გაგზავნა და უკუკავშირი (პასუხები).

სისრულეში მოიყვანეთ

8. შეადგინეთ/დაწერეთ ალტერნატიული ანგარიში

8.1. შექმენით ანგარიშის „მწერალი ჯგუფი“, რომელიც მიიღებს ინფორმაციას მე-3, მე-4 და მე-7 ნაბიჯებით და მოამზადებს მოკლე მოხსენებას. შეიტანეთ თქვენი შეკითხვები, რეკომენდაციები (მე-6 ნაბიჯი) და გადახედეთ მათ იმის გათვალისწინებით, რაც ისწავლეთ მე-7 ნაბიჯში. არ გამოიყენოთ შეურაცხმყოფელი ენა.

9. დაასრულეთ და გაგზავნეთ ანგარიში

წარუდგინეთ კომიტეტს თქვენი საბოლოო ანგარიში დადგენილ ვადაში. ბეჭდური ვერსიების გაგზავნისას, გაითვალისწინეთ, რა დრო სჭირდება საერთაშორისო ფოსტით ადრესატამდე მათ მიტანას.

სურვილისამებრ, სანამ თქვენს მოხსენებას დაასრულებთ:

- სთხოვეთ ძირითად ჩართულ მხარეებს ან სხვა პირებს, განიხილონ არსებული მონახაზი და მოგაწოდონ შენიშვნები;
- სთხოვეთ თქვენს თანამოაზრეებს (მე-2 ნაბიჯი), შემოგიერთდნენ ანგარიშზე ხელმოწერაში.

	10. გაუწიეთ ადვოკატირება თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხ(ებ)ს
	თქვენ შეგიძლიათ, გამოიყენოთ თქვენი ანგარიში მომავალი განხილვის კონტექსტში, მათ შორის, როგორც ღირებული ინსტრუმენტი გრძელვადიან პერსპექტივაში სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობისთვის. არსებობს არაერთი გზა თქვენი გზავნილის გასავრცელებლად: 10.1. ჩაერთეთ საგანმანათლებლო და გაცნობით ღონისძიებებში თქვენს ორგანიზაციაში/ფართო საზოგადოებაში, ითანამშრომლეთ მედიასთან. 10.2. შეიმუშავეთ დამატებითი სტრატეგიები, რათა თქვენი ანგარიში გამოიყენოთ გრძელვადიან პერსპექტივაში სამართლიანობის ხელშეწყობისთვის. 10.3. სურვილისამებრ: შეიმუშავეთ საკომუნიკაციო გეგმა (მე-7 ნაბიჯი) 10.4. სურვილისამებრ: ჩაერთეთ დამატებით ადვოკატირებაში შემდეგნაირად: 10.4.1. ანგარიშის განხილვისას ექსპერტებთან ადვოკატირება; 10.4.2. უშუალო განხილვის შემდგომ საბოლოო დოკუმენტების გამოქვეყნების თანმდევი კომუნიკაცია შესაბამის ადრესატებთან (follow-up outreach); 10.4.3. ლობირება მთავრობასთან (სხვადასხვა დონეზე) შესაბამისი რეკომენდაციების განსახორციელებლად; 10.4.4. შესრულების მონიტორინგი მომდევნო განხილვის პერიოდისთვის მოსამზადებლად.

საკონტროლო სია

მოსამზადებელ ეტაპზე ჩვენ განვსაზღვრეთ:

- ☐ სახელმწიფოს მიერ უფლებების დაცვაში გამოკვეთილი ხარვეზები, რომელთა შესახებაც გვინდა ადვოკატირება;
- ☐ სად არის ინფორმაციული „ჩავარდნა“ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზეც გვსურს მონიტორინგის ორგანოს ყურადღების მიპყრობა;
- ☐ ადვოკატირების სტრატეგია, რომლის ნაწილადაც მოიაზრება ჩრდილოვანი ანგარიშის გამოყენება;
- ☐ სამიზნე ჯგუფები;
- ☐ ჩვენი ადამიანური და ფინანსური რესურსები;
- ☐ ის ორგანიზაციები/პირები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ჩვენთან თანამშრომლობის ინტერესი ჩრდილოვანი ანგარიშების მომზადების პროცესში;
- ☐ ალტერნატიული მოხსენების ფარგლები;
- ☐ სახელმძღვანელო კითხვები;
- ☐ გუნდის წევრების როლები, პასუხისმგებლობები და ვადები.

ჩრდილოვანი ანგარიშის სტრუქტურა, შინაარსობრივი და ტექნიკური მახასიათებლები

დარწმუნდით, რომ თქვენი ჩრდილოვანი ანგარიშის შესავალი შეიცავს შემდეგ მახასიათებლებს:

- ☐ ფარგლები და მიზანი;
- ☐ ანგარიშის ფონი და კონტექსტი;
- ☐ სტრუქტურა;
- ☐ მეთოდოლოგია.

დარწმუნდით, რომ თქვენი ჩრდილოვანი ანგარიშის ძირითადი ნაწილი შეიცავს შემდეგ მახასიათებლებს:

- ☐ გამოყენებული რესურსების სათანადოდ მითითება;
- ☐ ანგარიშთან დაკავშირებულ ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებზე მითითება;
- ☐ ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა სტატისტიკური მონაცემები, სიტუაციური ანალიზი (case-study), ჩვენებები და ინტერვიუები;
- ☐ პოლიტიკის განხორციელების ხარვეზების დამადასტურებელი დამხმარე დოკუმენტაცია (სამეცნიერო სტატიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშები და ა.შ.);
- ☐ ძირითადი აქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კანონების იმპლემენტაციაზე, ასევე ამ უწყებებისადმი მიმართვა რეკომენდაციების მიწოდების მიზნით;
- ☐ ცვლილებებზე ორიენტირებული რეკომენდაციები.

შეამოწმეთ და დარწმუნდით, რომ **შემაჯამებელი მიმოხილვა** (რეზიუმე) შეიცავს შემდეგ მახასიათებლებს:

- ☐ წამოჭრილი ძირითადი საკითხები;
- ☐ ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნებები და რეკომენდაციები.

გადაამოწმეთ, რომ დოკუმენტის **ენა და სტრუქტურა** შეიცავდეს შემდეგ მახასიათებლებს:

- ☐ თანმიმდევრული ტერმინოლოგია;
- ☐ საკმარისი სუბტიტრები და სათაურები;
- ☐ გვერდები დანომრილია;
- ☐ წინადადებები/აბზაცები არ მეორდება.

ცხრილი N7. გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებთან ანგარიშვალდებულება: ვადები

სახელშეკრულებო ორგანო	პერიოდული მიმოხილვები - ინფორმაციის წარდგენის ვადები
CERD	სახელმწიფოს მიმოხილვისთვის: სესიამდე სამი კვირით ადრე; საკითხთა ჩამონათვალისთვის სესიამდე რვა კვირით ადრე ადრეული გაფრთხილების ან გადაუდებელი ქმედების მოთხოვნისთვის: სამი კვირით ადრე სხდომის დაწყებამდე
CESCR	სახელმწიფოს მიმოხილვისთვის: სესიამდე ექვსი კვირით ადრე საკითხების ჩამონათვალისთვის: წინასესიის დაწყებამდე ათი კვირით ადრე
CCPR	სახელმწიფოს მიმოხილვისთვის: სესიამდე ოთხი კვირით ადრე LOIPR: სესიამდე თორმეტი კვირით ადრე
CEDAW	სახელმწიფოს მიმოხილვისთვის: კომიტეტის სხდომამდე სამი კვირით ადრე საკითხების ჩამონათვალისთვის/LOIPR: PR: პრესესიის სამუშაო ჯგუფამდე ექვსი კვირით ადრე
CAT	სახელმწიფოს მიმოხილვისთვის: სესიამდე ორი კვირით ადრე LOIPR: სესიამდე ათი კვირით ადრე საკითხების ჩამონათვალისთვის: სხდომამდე ათი კვირით ადრე
CRC	სახელმწიფოს მიმოხილვისთვის: განხილვამდე ორი კვირით ადრე საკითხების ჩამონათვალისთვის: შესაბამისი წინასესიის სამუშაო ჯგუფის შეკრებამდე სამი თვით ადრე
CRPD	სახელმწიფოს მიმოხილვისთვის: კომიტეტის სხდომამდე ერთი თვით ადრე საკითხების ჩამონათვალისთვის: სხდომამდე ერთი თვით ადრე
CMW	სახელმწიფოს მიმოხილვისთვის: კომიტეტის სხდომამდე ორი კვირით ადრე LOIPR: სესიამდე ორი კვირით ადრე
CED	სახელმწიფოს მიმოხილვისთვის: კომიტეტის სხდომამდე ორი კვირით ადრე საკითხების ჩამონათვალისთვის: სხდომამდე ათი კვირით ადრე

ცხრილი N8. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სახელშეკრულებო ორგანოების საქმიანობაში

სახელშეკრულებო ორგანოების საქმიანობა და ფუნქციები	სახელშეკრულებო ორგანოები										NGO-ების წვლილი
	CERD	CESCR	CCPR	CEDAW	CAT	SPT	CRC	CMW	CRPD	CED	
სახელმწიფო ანგარიშების შემოწმება	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓	✓	კონსულტაციების გზით სახელმწიფო ანგარიშის მომზადებისას NGO-ების მიერ ანგარიშის წარდგენით როგორც საკითხების ჩამონათვალის მიღებასთან, ასევე ფაქტობრივ შემოწმებასთან დაკავშირებით
დაკვირვებების წარმოება	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓	✓	სახელშეკრულებო ორგანოების წევრებისა და სამდივნოებისთვის რეკომენდაციების პროექტების მიწოდების გზით
ინდივიდუალური კომუნიკაცია	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓	✓	მსხვერპლისთვის საჩივრის წარდგენაში დახმარების გაწევით დაზარალებულის სახელით საჩივრის წარდგენით
სახელმწიფოთა შორისი საჩივრები	✓		✓		✓		✓	✓		✓	N/A
ზოგადი კომენტარები ან ზოგადი რეკომენდაციები	✓	✓	✓	✓	✓						განხილვისას შესაბამისი საკითხების წამოჭრით ინფორმაციისა და კომენტარების წარდგენით ანგარიშის წერისას

საგამოძიებო მოქმედებები ქვეყანაში ვიზიტების განხორციელების გზით, რათა გამოძიებული იყოს ადამიანის უფლებათა სავარაუდო სისტემატური დარღვევები		✓		✓	✓	✓	✓		✓	✓	შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის გზით
შემდგომი პროცედურა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	აღსრულებისა და შემდგომი დაკვირვების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით
ადრეული გაფრთხილებისან გადაუდებელი მოქმედების პროცედურა	✓								✓	✓	რეკომენდაციების შესრულების მხარდაჭერა და მონიტორინგი

ცხრილი N9. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სახელშეკრულებო ორგანოების საქმიანობაში - 2

სახელშეკრულებო ორგანო	პერიოდული მიმოხილვები - სახელშეკრულებო ორგანოს სესიების დროს ჩართვის შესაძლებლობები
CERD	NGO-ებს შეუძლიათ, აცნობონ კომიტეტს სესიის ყოველი კვირის პირველ დღეს გამართულ შეხვედრებზე NGO-ებს შეუძლიათ, მოაწყონ ლანჩის დროს მოხსენებები განხილული სახელმწიფოების შესახებ, უშუალოდ განხილვის დაწყებამდე, დღის მეორე ნახევარში
CESCR	ზეპირი მოხსენება პრესესიის სამუშაო ჯგუფის პირველ დღეს (LOI/LOIPR-ისთვის), NGO-ების მიერ, რომლებმაც წერილობითი ინფორმაცია წარმოადგინეს სესიის პირველი დღის შუადღე ეთმობა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ზეპირ მოხსენებებს, რომლებმაც წერილობითი ინფორმაცია წარმოადგინეს (განხილვისთვის) NGO-ებს რომლებმაც წერილობითი ინფორმაცია წარმოადგინეს, შეუძლიათ, მოაწყონ არაფორმალური ლანჩ-მოხსენებები განხილვის წინა დღეს
HR CTTE	ზეპირი მოხსენებებისთვის სახელმწიფოს ერთი საათი აქვს გამოყოფილი
CEDAW	კომიტეტის კერძო ბრიფინგების მოწვევა შესაძლებელია იმ NGO-ებისთვის, რომლებმაც წერილობითი ინფორმაცია წარმოადგინეს
CAT	NGO-ებს, რომლებმაც წერილობითი ინფორმაცია წარმოადგინეს, იწვევენ წინასესიის სამუშაო ჯგუფში, რომელიც, სხვებისგან განსხვავებით, ეძღვნება არა LOI/LOIPR-ის მიღებას, არამედ არასახელმწიფო აქტორებსა და კომიტეტს შორის ურთიერთქმედებას
CRC	ზეპირი მოხსენებები, როგორც წესი, ინიშნება ყოველი სესიის კვირის პირველ დღეს
CRPD	NGO-ებს ეძლევათ საშუალება, მოაწყონ არაფორმალური შეხვედრა ლანჩის დროს ან სხვა ღონისძიებები
CMW	ზეპირი მოხსენებები სესიის პირველ დღეს NGO-ებს შეუძლიათ, მოაწყონ ერთსაათიანი არაფორმალური ბრიფინგები

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. ევროპის საბჭო. „სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის - ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“. 2015. https://assembly.coe.int/LifeRay/EGA/WomenFFViolence/HandbookParliamentarians-GE.pdf.
2. ევროპის საბჭო. *ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია: მონიტორინგის მექანიზმი* (საინფორმაციო ბროშურა), https://rm.coe.int/16805d58bc [05.09.2024].
3. ევროპის საბჭო. *რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მე-6 მოხსენება საქართველოს შესახებ*“, 2023. https://rm.coe.int/sixth-report-on-georgia-georgian-translation-/1680ab9ed5 [05.09.2024].
4. ევროპის საბჭო. *ლანსაროტის კონვენცია: კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ (საინფორმაციო ბროშურა)*. https://rm.coe.int/-lcleaflet/1680990238 [05.09.2024].

გაეროს სახელშეკრულებო ორგანოები

1. „კომიტეტი წამების წინააღმდეგ (CAT)”. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-against-torture-and-other-cruel-inhuman-or-degrading [05.09.2024].
2. „ადამიანის უფლებათა კომიტეტი (CCPR)”. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-civil-and-political-rights [05.09.2024].
3. „იძულებითი გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის კომიტეტი (CED)”, https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-convention.protection-all-persons-enforced [05.09.2024].
4. „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW)”. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-elimination-all-forms-discrimination-against-women [05.09.2024].
5. „რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD)”. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-convention-elimination-all-forms-racial [05.09.2024].
6. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR)”. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-economic-social-and-cultural-rights [05.09.2024].

7. „მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის კომიტეტი (CMW)". https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-convention-protection-rights-all-migrant-workers [05.09.2024].
8. „ბავშვის უფლებების კომიტეტი (CRC)". https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-child [05.09.2024].
9. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (CRPD)". https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-persons-disabilities [05.09.2024].

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Amnesty International. *HOLDING GOVERNMENT TO ACCOUNT: A Guide to Shadow Reporting on Economic Social and Cultural Rights*. 2014. https://academy.ishr.ch/upload/resources_and_tools/Amnesty%20Int%20guide%20to%20shadow%20reporting%20on%20ESCR_en.pdf [05.09.2024].
2. Council of Europe. *ECRI: European Commission against Racism and Intolerance*. https://rm.coe.int/leaflet-ecri-2022/1680a969e9 [05.09.2024].
3. Council of Europe. *Guidance for NGOs to report to GRETA*. https://documentation.lastradainternational.org/lsidocs/Guidance%20for%20NGOs%20to%20report%20to%20GRETA.pdf [05.09.2024].
4. Council of Europe. *Terms of Reference of ECRI's Working Group On Relations With Civil Society And Specialised Bodies*. https://rm.coe.int/terms-of-reference-of-ecri-s-working-group-on-relations-with-civil-soc/16808c67ba [05.09.2024].
5. Human Rights Council. *Institution-building of the United Nations Human Rights Council*. 2007. http://hrlibrary.umn.edu/iwraw/Inst-building-UN.pdf [05.09.2024].
6. National Democratic Institute (NDI). *CEDAW Shadow Reports - NDI Handout 2: How to Structure a Shadow Report (CEDAW Shadow Reports)*. https://www.ndi.org/sites/default/files/Handout%202%20-%20How%20to%20Structure%20a%20Shadow%20Report.doc [05.09.2024].
7. International Service for Human Rights (ISHR). *Participation in the CEDAW Reporting Process: Process and Guidelines for Writing a Shadow/Alternative Report*. 2010. https://academy.ishr.ch/upload/resources_and_tools/IWRAW%20guidelines%20on%20writing%20a%20shadow%20report%20to%20CEDAW_en.pdf [05.09.2024].
8. United Nations OHCHR. *Information and Guidelines for Relevant Stakeholders on The Universal Periodic Review Mechanism*. 2008. https://www.ohchr.org/sites/default/files/HRBodies/UPR/Documents/TechnicalGuideEN.pdf [05.09.2024].

9. United Nations OHCHR. United Nations Human Rights Commissioner. *Universal Periodic Review: A Guide for Civil Society for The Fourth Cycle*. https://www.ohchr.org/sites/default/files/documents/hrbodies/upr/sessions/2022-10-24/UPR-4th-cycle-civil-society-guide.pdf [05.09.2024].

10. United Nations OHCHR. *Ratifying the Optional Protocol to the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights (OP-ICESCR)*. 2023. https://www.ohchr.org/sites/default/files/documents/hrbodies/cescr/OP-ICESCR-Ratification-Toolkit-EN_0.pdf [05.09.2024].

11. United Nations. *Recommendations from the Expert Group to Civil Society*. 2007. https://www.un.org/esa/socdev/sib/egm'07/documents/reportfinal.pdf [05.09.2024].

უცხოენოვანი ნორმატიული მასალა

1. Council of Europe. *Convention on Preventing and Combating Violence Against Women and Domestic Violence*. 2014. https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/text-of-the-convention [05.09.2024].

2. Council of Europe. *European Convention on Action against Trafficking in Human Beings*. 2005. https://rm.coe.int/16805d58bc [05.09.2024].

3. Council of Europe. *European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms*. 1950. https://www.coe.int/en/web/human-rights-convention/the-convention-in-1950 [05.09.2024].

4. Council of Europe. *European Social Charter*. Collected texts (7th edition), 2015. https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168048b059 [05.09.2024].

5. Council of Europe. *European Convention for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment*. Text of the Convention and Explanatory Report. *European Treaty Series - No. 126.*, 2002. https://rm.coe.int/16806dbaa3 [05.09.2024].

6. *The Framework Convention for the Protection of National Minorities*. 1998. https://rm.coe.int/168007cdac [05.09.2024].

7. United Nations. *Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment*. 10 December 1984. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-against-torture-and-other-cruel-inhuman-or-degrading [05.09.2024].

8. United Nations. *Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women*. 18 December 1979. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-elimination-all-forms-discrimination-against-women [05.09.2024].

9. United Nations. *Convention on the Rights of Persons with Disabilities*. 12 December 2006. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-persons-disabilities [05.09.2024].

10. United Nations. *Convention on the Rights of the Child*. 20 November 1989. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-child [05.09.2024].

11. United Nations. *International Convention for the Protection of All Persons from Enforced Disappearance*. 23 December 2010. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-convention-protection-all-persons-enforced [05.09.2024].

12. United Nations. *International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination*. 21 December 1965. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-convention-elimination-all-forms-racial [05.09.2024].

13. United Nations. *International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families*. 18 December 1990. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-convention-protection-rights-all-migrant-workers [05.09.2024].

14. United Nations. *International Covenant on Civil and Political Rights*. 16 December 1966. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-civil-and-political-rights [05.09.2024].

15. United Nations. *International Covenant on Economic, Social and Cultural Rights*. 16 December 1966. https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-economic-social-and-cultural-rights [05.09.2024].

16. United Nations. *Optional Protocol to the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, chapter IV, 3a*. New York. 10 December 2008. https://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtdsg_no=IV-3-a&chapter=4&clang=_en [05.09.2024].

უცხოენოვანი ბმულები

1. Centre for Civil and Political Rights. “Working Methods”. https://ccprcentre.org/ccpr-working-methods [05.09.2024].

2. Child Rights International Network. “COMMITTEE ON THE RIGHTS OF THE CHILD”. https://archive.crin.org/en/guides/un-international-system/committee-rights-child.html [05.09.2024].

3. Council of Europe. “About the Framework Convention for the Protection of National Minorities”. https://www.coe.int/en/web/minorities/at-a-glance#%7B%2279030665%22:[7]%7D [05.09.2024].

4. Council of Europe. “Council of Europe National Minorities (FCNM), Role of NGOs”. https://www.coe.int/en/web/minorities/role-of-ngos [05.09.2024].

5. Council of Europe. “Georgia ratified the Revised European Social Charter 22/08/2005, accepting 63 of the Revised Charter’s 98 paragraphs”. https://www.coe.int/en/web/european-social-charter/georgia [05.09.2024].
6. Council of Europe. “GRETA - Group of Experts on Action against Trafficking in Human Beings”. https://www.coe.int/en/web/anti-human-trafficking/greta [05.09.2024].
7. Council of Europe. “GREVIO- NGOs and evaluation procedure: The role of NGOs in the evaluation procedures”. https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/ngo [05.09.2024].
8. Council of Europe. “Group of States against Corruption, Frequently Asked Questions”. https://www.coe.int/en/web/greco/faq#%7B%2222358480%22:[0]%7D [05.09.2024].
9. Council of Europe. “The Role of NGOs in the Evaluation Procedures”. https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/ngo [05.09.2024].
10. European Network of National Human Rights Institutions. “About National Human Rights Institutions”. https://ennhri.org/about-nhris/ [05.09.2024].
11. International Service for Human Rights. “Guide for Third-Party Interventions before UN Human Rights Treaty Bodies”. https://ishr.ch/defenders-toolbox/resources/guide-for-tpis-before-untbs/ [05.09.2024].
12. United Nations. “Civil Society Participation in The Implementation of The Convention”. https://social.desa.un.org/issues/disability/events/civil-society-participation-in-the-implementation-of-the-convention [05.09.2024].
13. United Nations OHCHR “About the Human Rights Committee”. https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/ccpr [05.09.2024].
14. United Nations. Department of Economic and Social Affairs. “Civil Society Participation in The Implementation of The Convention”. https://social.desa.un.org/issues/disability/events/civil-society-participation-in-the-implementation-of-the-convention [05.09.2024].
15. United Nations OHCHR. “Fact Sheet No. 15 (Rev. 1): Civil and Political Rights: The Human Rights”. https://www.ohchr.org/en/publications/fact-sheets/fact-sheet-no-15-rev-1-civil-and-political-rights-human-rights-committee [05.09.2024].
16. United Nations OHCHR. “Guidelines for Civil Society, NGOs and NHRIs”. July 2024, https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/cescr/guidelines-civil-society-ngos-and-nhris [05.09.2024].
17. United Nations OHCHR. “Information and Guidelines for Independent Monitoring Mechanisms and National Human Rights Institutions”. https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/crpd/information-and-guidelines-independent-monitoring-mechanisms-and-national-human-rights-institutions [05.09.2024].
18. United Nations OHCHR. “Information for Civil Society, Non-governmental Organizations, National Human Rights Institutions, Committee on the Protection of the Rights of All Migrant Workers and

Members of their Families". https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/cmw/information-civil-society-non-governmental-organizations-national-human-rights-institutions [05.09.2024].

19. United Nations OHCHR. United Nations Human Rights Council. https://www.ohchr.org/en/hr-bodies/hrc/about-council [05.09.2024].

20. United Nations OHCHR. Human Rights Council. "Basic facts about the UPR". https://www.ohchr.org/en/hr-bodies/upr/basic-facts#:~:text=The%20UPR%20will%20assess%20the,4)%20voluntary%20pledges%20and%20commitments [05.09.2024].

21. United Nations OHCHR. United Nations Human Rights Council. "Human Rights Council Complaint Procedure". https://www.ohchr.org/en/hr-bodies/hrc/complaint-procedure/hrc-complaint-procedure-index [05.09.2024].

22. United Nations. "UN Treaty Body Database". https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/TreatyBodyExternal/MasterCalendar.aspx?Type=Session&Lang=En [05.09.2024].